პროლეტარიელებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

გაზეთი გამოდის 1920 წლის 3 ივნისიდან

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს და მინისტრთა საბჭოს ორგანო

КОММУНИСТ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

№ 10 (18552) ხუთშაბათი, 13 იანვარი, 1983 წელი ფასი 3 კაპ.

პარტიული კომისიები

მიმდინარე ხუთწლედის მესამე წელი. პარტორგანიზაციები, შრომითი კოლექტივები ცდილობენ ღირსეულად შეასრულონ სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1982 წლის ნოემბრის პლენუმის მიერ დასახული ამოცანები. ეს აქ უდიდეს როლს ასრულებს პარტიული ხელმძღვანელობის სტილისა და მეთოდების, შესრულების კონტროლისა და შემოწმების სრულყოფა.

უკანასკნელი წლების მანძილზე კონტროლის ორგანიზაციის ლენინური პრინციპები კიდევ უფრო განვითარდა. გამდიდრდა კონტროლის შინაარსი, გაფმკაცდა მისი გეგმიანი საწყისები, უფრო გამრავალფეროვნდა ფორმები და მეთოდები. ამ დიდმნიშვნელოვანი საქმისადმი ყურადღება გაძლიერდა მას შემდეგ, რაც გამოვიდა სკკპ ცენტრალური კომიტეტის დადგენილება „სკკპ XXVI ყრილობის გადაწყვეტილებათა მიხედვით შესრულების კონტროლისა და შემოწმების შემდგომი სრულყოფის შესახებ“. მაგალითად, ახალი საყურადღებო გამოცდილებით შეავსო თავისი პრაქტიკა უკრაინისა და ბელორუსიის, აზერბაიჯანისა და ლიტვის კომპარტიათა ცენტრალურ კომიტეტებთან, სკკპ მოსკოვის საქალაქო კომიტეტთან, ლენინგრადის, სვერდლოვსკის, ვორონეჟის საოლქო კომიტეტებთან არსებულმა და ბევრმა სხვა პარტიულმა კომისიამ.

საკონტროლო ორგანოს მოვალეობათა ფართო და მრავალმხრივი საქმიანობიდან საჭიროა გამოიყოს მოცემულ ეტაპზე ყველაზე აქტუალური, აი, რა ოთხი ძირითადი ხაზი განისაზღვრა, როგორც უმთავრესი, საქართველოს კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტთან არსებული პარტიული კომისიის მუშაობაში. ეს არის ხელმძღვანელთა, კომუნისტთა მიერ მიწოდების დისციპლინის დაცვა, სახელშეკრულებო ვალდებულებათა შესრულება; საწარმოო სიმძლავრეთა გამოყენების ეფექტიანობა; ეკონომია, უაზრათანობა, ფინანსური დისციპლინის დაცვა; კუთხურობისა და უწყებრიობის ცალკეულ კომუნისტთა ქედმაღლობის გამოვლინებების წინააღმდეგ ბრძოლა. ოთხივე ძირითადი მიმართულებით ხაზოგადოებრივ საწყისებზე შექმნილია მუდმივმოქმედი დარგობრივი საკონტროლო ჯგუფები. ისინი უშუალოდ ახორციელებენ კონტროლს მიღებულ გადაწყვეტილებათა შესრულებისადმი, პარტკომიხიას აცნობენ დარგში საქმის მდგომარეობას.

შეიძლება მოვიყვანოთ ბევრი მაგალითი, როცა პარტიული კომისიების მიზანდასახული მეცადინეობა ხელს უწყობდა მუშაობის ეფექტიანობისა და ხარისხის ამაღლებას, ახალშაგებელ შენებლობათა დროულ ამოქმედებას, მატერიალური და ენერგეტიკული რესურსების დაცვა-შენახვას. მთავარია კონტროლის ქმედითობა, საგრძნობი შედეგების მოპოვება. დღესაც აქტუალურია ლენინის მითითება, რომ „შეგვეძლოს საქმის გამოსწორება“.

პარტიული კონტროლი მოწოდებულია კადრებს ზრდიდეს მაღალი დისციპლინის, სკკპ წესდების მკაცრად დაცვის სულისკვეთებით. აქ სრულიად შეუწყნარებელია ლიბერალიზმი, გაუმართლებელი შემწყნარებლობა, მით უფრო წაურუნა იმათდამი, ვინც დანაშაული ჩაიდინა. ამგვარი მიდგომა პასუხისმგებლობას თავიდან აცილებს არა მარტო იმათ, ვინც უღირსად იქცევა, არამედ ვნებს კიდეც კადრების სწორი აღზრდის საქმეს. ეს არ უნდა დავუშვათ. მტკიცედ უნდა ვიდგეთ პარტიული ცხოვრების ნორმების სადარაჯოზე, ქმედით გავლენას ვახდენდეთ ნეგატიური მოვლენების აძოძირკვაზე. უყაირათობა, მფლანგველობა, სახელმწიფოს მოტაცუება, ბიუროკრატიზმი — ერთი სიტყვით, ჩვენი ზნეობრივი საფუძვლებიდან ყოველგვარი გადახვევა უკომპრომისო პარტიულ შეფასებას უნდა იღებდეს. უნდა გავაძლიეროთ პასუხისმგებლობა საერთო-სახელმწიფოებრივი, საერთო-სახალხო ინტერესების დაცვისათვის, მტკიცედ აღმოვფხვრათ უწყებრიობა და კუთხურობა.

მეტად საჭიროა არ ვიფარგლებოდეთ კერძო ფაქტების აღრიცხვით, არამედ აუცილებლად ვეკლენდეთ მათ მიზეზებს, ვპოულობდეთ მთავარ დამნაშავეებს, მაგალითად, სომხეთის კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტთან არსებული პარტიული კომისიისათვის ცნობილი გახდა, რომ „სარფის მოყვარულნი“ უპატიოსნო გარიგებებს დებდნენ ზოგიერთ რაიონულ მუშაკთან და მეურნეობათა ხელმძღვანელებთან. როგორც იტყვიან, ფაქტები უტყუარი იყო. მაგრამ პარტკომისიამ გადაწყვიტა უფრო ღრმად ჩაწვდომოდა საქმეს — შეემოწმებინა სახელმწიფო დისციპლინის დაცვა რესპუბლიკის ხაზინ მახალათა მრეწველობის სამინისტროში. შემოწმებით დადასტურდა, რომ ამ სამინისტროს და მისდამი დაქვემდებარებული საწარმოების ხელმძღვანელები ზოგიერთი რაიონის ხელმძღვანელ მუშაკთა თხოვნით აწვდიდნენ მათ მნიშვნელოვანი რაოდენობის ფონდირებულ მასალებს. ხშირად „სარფის მოყვარულთა“ საშუალებით, რომლებიც შემდეგ მამასისხლად მიჰყიდიდნენ ხოლმე მათ მეურნეობებს, დიდძალ არაშრომითს შემოსავალს იღებდნენ. შემოწმების შედეგებით, სანინ მასალათა მრეწველობის მინისტრი გ. ვართანიანი და ორი მისი მოადგილე პარტიულ პასუხისგებაში მისცეს და გაათავისუფლეს თანამდებობიდან, სამინისტროს მომარაგება-გასაღების სამმართველოს უფროსი კი გარიცხულია სკკპ რიგებიდან, სასტიკად აგებინეს პასუხი აგრეთვე კომბინატებისა და კარიერების სამმართველოების ზოგიერთ ხელმძღვანელს.

პარტიული კომისიების მუშაობაში მნიშვნელოვანი ადგილი უკავია აპელაციათა განხილვას. იგი დიდ ყურადღებას, აპელაციის შემტანისადმი გულისხმიერ დამოკიდებულებას, მაგრამ ამასთანავე იმათი გადაცდომის შეფასებისადმი მომთხოვნელ მიდგომასაც მოითხოვს, ვინც არღვევს საწესდებო დებულებებს, ვინც სწორად არ იქცევა. პერსონალურ საქმეთა განხილვის დროს უნდა ვეურდნობოდეთ პირველად პარტორგანიზაციების აზრს, აუცილებლად ვითვალისწინებდეთ მას. ამავე დროს უნდა ვამაღლებდეთ მათს პასუხისმგებლობას მიღებული გადაწყვეტილებებისათვის.

კონტროლის განხორციელებაში გვეხმარება წერილები, რომლებსაც პარტიულ კომისიებს მშრომელები უგზავნიან. ისინი მათ ატყობინებენ, რომ არის პარტიული და სახელმწიფო დისციპლინის, პარტიული მორალის ნორმების დარღვევები, ახშობენ კრიტიკას. როგორც წერილი, წერილები მოწმდება ადგილზე, მიმართავენ ზომებს გამოვლენილ ნაკლოვანებათა და დარღვევათა აღმოფხვრისათვის. ფოსტის ანალიზი შესაძლებლობას გვაძლევს უკეთ დავინახოთ ესა თუ ის პრობლემა, რომელიც გადაწყვეტას ელის. მაგალითად, პარტიის ივანოვოს საოლქო კომიტეტის ბიურომ პარტკომისიის მიერ მოწყობილი შემოწმების საფუძველზე დაგმო იმ ხელმძღვანელთა გადაყვან-გადმოყვანის პრაქტიკა, რომლებმაც საქმე ჩაშალეს, განახორციელა ღონისძიებანი ამგვარი ფაქტების თავიდან აცილებისათვის.

პარტიულ კომისიებს ბევრი საქმე და საზრუნავი აქვთ. პარტიის XXVI ყრილობაზე აღინიშნა, რომ შესრულების შემოწმება ჯერ კიდევ ვიწრო ადგილია ბევრი პარტიული ორგანიზაციის მუშაობაში. სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1982 წლის მაისის პლენუმის გადაწყვეტილებათა შესაბამისად მეტი ყურადღება უნდა დაეთმოს ბრძოლას სოფლის მეურნეობის პროდუქციის დანაკარგების, მისი გაფუჭების წინააღმდეგ. უფრო მტკიცე უნდა იყოს პარტკომისიების ურთიერთმოქმედება სახალხო კონტროლის ორგანოებთან, სახალხო დეპუტატთა საბჭოების მუდმივ კომისიებთან, პროფკავშირულ ორგანიზაციებთან. ამავე დროს ნორმალურად ვერ ჩათვლება, როცა ერთსა და იმავე საწარმოსა თუ დაწესებულებაში ერთი კომისია მეორეს ცვლის. შემდგომ სრულყოფას მოითხოვს პარტიულ კონტროლიორთა ანალიზური მუშაობა.

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის წესდებაში ნათქვამია: „პარტიას აქვს ერთი დისციპლინა, ერთი კანონი ყველა კომუნისტისათვის. მიუხედავად იმისა, თუ რა დამსახურება მიუძღვით და რა პოსტი უჭირავთ მათ“. ამ მოთხოვნის განუხრელი დაცვა იმის მნიშვნელოვანი საწინდარია, რომ კიდევ უფრო გაიზრდება პარტიის თითოეული წევრის პასუხისმგებლობა, მისი აქტიურობა ბრძოლაში ჩვენი დიადი იდეალებისათვის, დასახული ამოცანების შესრულებისათვის.

პარტიული კომისიებიდან

ბოლშევიკური ზედამხედველობა

ბოლო ორი ნომერი „ბოლშევიკ“ ბეჭდავს ინფორმაციას, ბოლშევიკურ ზედამხედველობასთან დაკავშირებულ ფაქტებს, ბოლშევიკურ ზედამხედველობასთან ერთად ეს ინფორმაციები ეხმარებიან ბოლშევიკურ ზედამხედველობას, ეხმარებიან ბოლშევიკურ ზედამხედველობას, ეხმარებიან ბოლშევიკურ ზედამხედველობას,

წესრიგს ამოიმოქმედებს მუშაობა!

ამჟამად გასაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება კონკრეტულ კომპლექსურ მიდგომას დისციპლინის გაძლიერების კრიტიკულ ბრძოლებისა.

თბილისის დიმიტროვის სახელობის საავიაციო ქარხნის კოლექტივის კრების მასალები და ამავე საწარმოს კოლექტივის მიმართვა რესპუბლიკის ყველა მშრომელისადმი „თბილისგვირაბმშენის“ მშრომელთა ყურადღების ცენტრშია.

სურათზე: „თბილისგვირაბმშენის“ № 82 საგვირაბო რაზმის უფროსის მოადგილე გ. ბახიშვილი აცნობს გვირაბგამყვანების დიმიტროველთა კრების მასალებს.

ვ. გენგიურის ფოტო.

სამუშაო დრო — მუშაობას

(დასასრული)

— შრომისა და საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა სფეროში დისციპლინის განმტკიცების კურსი დღეს განმსაზღვრელი გახდა რესპუბლიკის პროფესიული კავშირების საქმიანობაშიც. სამუშაო დროის დანაკარგების მაქსიმალური შემცირება, ორგანიზებულობის შემდგომი განმტკიცება მათ მიაჩნიათ საზოგადოებრივი წარმოების ეფექტიანობის ზრდის უმნიშვნელოვანეს რეზერვად. სწორედ საქმისადმი ასეთ მიდგომას, პარტიული, სახელმწიფო და შრომის დისციპლინის ყოველი დარღვევის წინააღმდეგ გადამწყვეტ ბრძოლას გვავალებს სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1982 წლის ნოემბრის პლენუმისა და საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის XI პლენუმის გადაწყვეტილებანი. — ამ სიტყვებით დაიწყო ხაუბარი საქინფორმის კორესპონდენტთან საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობაში შრომის დისციპლინის განმტკიცებისა და კადრების დენადობის შემცირების რესპუბლიკური. შტაბის ხელმძღვანელმა, საქართველოს პროფსაბჭოს თავმჯდომარემ თ. ი. მოსაყვიელმა.

— კითხვა: ამ ბოლო წლების მანძილზე რესპუბლიკაში შეიქმნა შრომის დისციპლინის მართვის გარკვეული სისტემა. როგორ მუშაობს შტაბი, რომელსაც თქვენ ხელმძღვანელობთ, რა ფორმებსა და მეთოდებს იყენებთ მის საქმიანობაში?

პასუხი: რესპუბლიკური შტაბი უკვე სამი წელია არსებობს. იგი შეიქმნა მას შემდეგ, რაც 1979 წლის 13 დეკემბერს სკკპ ცენტრალურმა კომიტეტმა, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭომ და საკავშირო პროფსაბჭომ მიიღეს დადგენილება „სახალხო მეურნეობაში შრომის დისციპლინის შემდგომი განმტკიცებისა და კადრების დენადობის შემცირების შესახებ“. შტაბის ამოცანები მთელი სიზუსტით განსაზღვრა: იგი კორდინაციას უნდა უწევდეს პარტიული, საბჭოთა, პროფკავშირული, კომკავშირული, სამეურნეო ორგანოების საქმიანობას ამ დარგში, ავლენდეს იმ მიზეზებს, რომლებიც იწვევს სამუშაო დროის დანაკარგებს, ახორციელებდეს ეფექტიან ღონისძიებებს მათი აღმოფხვრისათვის. პრობლემის კომპლექსური გადაწყვეტის მიზნით ასეთი შტაბები შეუდგნენ მუშაობას ავტონომიურ რესპუბლიკებსა და ოლქში, რესპუბლიკის ყველა სამინისტროში, ქალაქში, რაიონში, საწარმოში. მათ სათავეში ჩაუდგნენ პასუხისმგებელი პარტიული, საბჭოთა, პროფკავშირული, სამეურნეო მუშაკები.

პრაქტიკაში შემოვიღეთ დარგობრივი და რეგიონალური შტაბების ხელმძღვანელთა ანგარიშები, ამ დარგში შეძენილი მოწინავე გამოცდილების შესწავლა, განზოგადება და გავრცელება, რეიდები, სხვადასხვა საწარმოში, მეურნეობაში, ორგანიზაციაში შრომის დისციპლინის მდგომარეობის შემოწმება.

შტაბის ყურადღების ცენტრშია შრომის დისციპლინის ძირითადი შემადგენელი ნაწილები, სახელდობრ, ის ფაქტორები, რომლებიც სამუშაო დროის დანაკარგებს, კადრების დენადობას იწვევს. ეს, უწინარეს ყოვლისა, გახლავთ გაცდენები, სამუშაოზე დაგვიანება, ადმინისტრაციის ნებართვით სამუშაოზე გამოუცხადებლობა, მთელი დღისა და ცვლისშიგა მოცდენები.

— **კითხვა: რა გაკეთდა რესპუბლიკაში ამ პრობლემების გადასაჭრელად?**

პასუხი: პარტიული, პროფკავშირული, სხვა საზოგადოებრივი ორგანიზაციების ორგანიზატორული, პოლიტიკურ-აღმზრდელობითი მუშაობის გაძლიერების შედეგად რესპუბლიკის სახალხო მეურნეობაში შესამჩნევად განმტკიცდა შრომის დისციპლინა. კერძოდ, წლითიწლობით მცირდება გაცდენებით, ადმინისტრაციის ნებართვით სამუშაოზე გამოუცხადებლობით გამოწვეული სამუშაო დროის დანაკარგები. 1982 წელს 1979 წელთან შედარებით მრეწველობაში, მშენებლობაში და ავტოტრანსპორტზე ისინი შესაბამისად შემცირდა 40, 35 და 33 პროცენტით. ამის შედეგად ბოლო სამი წლის მანძილზე მრეწველობაში მნიშვნელოვნად გაუმჯობესდა შრომითი რესურსების გამოყენების ეფექტიანობის მაჩვენებელი. ამჟამად იგი საშუალო საკავშიროზე უკეთესიც არის. რესპუბლიკის სახალხო მეურნეობაში მყარი გახდა კადრების დენადობის შემცირების ტენდენცია.

ამავე დროს მის ცალკეულ დარგებში არსებობს შრომის ნაყოფიერების ზრდის დიდი რეზერვები, რომლებიც დაკავშირებულია სამუშაო დროის უფრო რაციონალურ გამოყენებასთან. მათი დანაკარგების შედეგად მარტო მრეწველობაში განვლილ წელს ხელიდან გავუშვით შესაძლებლობა დამატებით გამოგვეშვა ათმილიონობით მანეთის პროდუქცია.

რა არის ამის მიზეზი? შრომის დისციპლინა განყენებული ცნება არ გახლავთ, იგი სავსებით კონკრეტულია, საერთო დისციპლინის შემადგენელი ნაწილია. და ეს ერთხელ კიდევ აშკარად ჩანს რესპუბლიკის სახალხო მეურნეობის საქმიანობის პრაქტიკიდან.

ანალიზი გვიჩვენებს, რომ სამუშაო დროის დანაკარგების დიდი ნაწილი ისევე მრეწველობაში ისეთი ფაქტორებით არის გამოწვეული, როგორიც გახლავთ მთელი დღისა და ცვლისშიგა მოცდენები, შეფერხებანი მატერიალურ-ტექნიკური მომარაგებაში, და მთელი რიგი სხვა მიზეზებით. ჩვენ აქ ვაწყდებით სახელმწიფო, საშემსრულებლო, საგეგმო, სახელშეკრულებო დისციპლინის დარღვევის ფაქტებს.

მართლაცდა, განა დამნაშავეა სამუშაოზე დროზე მოსული მშრომელი, რომელსაც სურვილი აქვს კეთილსინდისიერად იშრომოს, რომ გაუმართავია და თაკის ადგილზე არ არის ხელსაწყო ან საწარმოში შეზიდული არ არის საჭირო ნედლეული და მასალები? რა თქმა უნდა, არა!

სხვათა შორის, ამგვარი ფაქტები ოშვიათი როდია. მაგალითად, სწორედ ამ მიზეზით წარმოშვა სამუშაო დროის დიდი დანაკაგები რესპუბლიკის მსუბუქი მრეწველობის სამინისტროს ბევრ საწარმოში, რის შედეგადაც შარშან მის წილად მოვიდა მრეწველობაში მთელი სამუშაო დროის დანაკარგების დაახლოებით 30 პროცენტი.

— **კითხვა: ანალიზი მოწმობს, რომ დისციპლინის განმტკიცებაში საგრძნობ შედეგებს აღწევენ ის საწარმოო კოლექტივები, რომლებიც საკითხის გადაჭრას კომპლექსურად უდგებიან...**

— პასუხი: უდავოდ. ამ მიმართის მანქანათმშენებელ ქარხანაში, თბილისის ცხიმკომბინატსა და რესპუბლიკის მთელ რიგ სხვა საწარმოებში.

— **კითხვა: რა ამოცანებს ისახავს შტაბი ხუთწლედის მესამე წელს?**

— პასუხი: რესპუბლიკური შტაბის ინიციატივით ყველა სამინისტროსა და უწყებას წინადადება მეეცა თავიანთი საწარმოებისათვის განსაზღვრონ სამუშაო დროის დანაკარგების, კადრების დენადობის შესამცირებლად კონკრეტული დავალებანი და მათი შესრულება გაითვალისწინონ სამეურნეო საქმიანობის შედეგების შეფასების დროს. შრომის დისციპლინის განმტკიცებასთან დაკავშირებულ საკითხებს რეგულარულად გავიტანთ მუდმივმოქმედი თათბირების, დარგობრივი თათბირ-სემინარების განსახილველად, რომლებიც გაიმართება რესპუბლიკის ხელმძღვანელი სამეურნეო მუშაკების მონაწილეობით.

რესპუბლიკურ შტაბთან იქმნება სპეციალური სამუშაო ჯგუფები. ისინი ჩავლენ იმ ქალაქებსა და რაიონებში, სადაც გაიზარდა სამუშაო დროის დანაკარგები, ადგილებზე სამეურნეო და პროფკავშირულ მუშაკებთან ერთად დასახავენ და განახორციელებენ გამოვლენილ ნაკლოვანებათა აღმოფხვრის ღონისძიებებს.

რესპუბლიკურ შტაბს მიმდინარე წელს განზრახული აქვს კიდევ უფრო საფუძვლიანად მოჰკიდოს ხელი ისეთი პრობლემების გადაწყვეტას, როგორიც არის შრომის ნორმირება, შრომის ორგანიზაციისა და ანაზღაურების ბრიგადული ფორმის დანერგვა, ტრანსპორტის, საყოფაცხოვრებო მომსახურების მუშაობის მოწესრიგება.

მომწიფდა იმის საჭიროება, რომ მეცნიერულად შევისწავლოთ და გავაანალიზოთ ყველა ფაქტორი, რომლებიც გავლენას ახდენს სამუშაო დროის დანაკარგების, კადრების დენადობის ზრდაზე, ამასთან გავითვალისწინოთ შრომითი კოლექტივების, მუშათა კატეგორიების სპეციფიკა. მიზანშეწონილად მოგვაჩნია, რომ მეცნიერებათა აკადემიისა და დარგობრივმა სამეცნიერო-კვლევითმა ინსტიტუტებმა გეგმაზომიერად განახორციელონ პროგრამული სოციოლოგიური კვლევა და დასაბუთებული რეკომენდაციები მოგვცენ თითოეული იმ ფაქტორის მართვისათვის, რომლებიც გავლენას ახდენს შრომის დისციპლინის დონის ცვლილებაზე.

ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ამოცანაა დარგობრივი და რეგიონალური შტაბების საქმიანობის აქტივიზაცია.

რესპუბლიკის პროფკავშირულმა და სამეურნეო მუშაკებმა, რომლებიც ხელმძღვანელობენ სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1982 წლის ნოემბრის პლენუმისა და საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის XI პლენუმის გადაწყვეტილებებით, ისე უნდა გარდაქმნან თავიანთი საქმიანობა, რომ მტკიცე დისციპლინით, ორგანიზებულობითა და მობილურობით გამოირჩეოდეს ყოველი დარგის, ქარხნის, კოლმეურნეობის, საამქროს, უბნის, თითოეული მშრომელის მუშაობა.

მოძრაობის ახალი ეტაპი

ერთსულოვნად მოვიწონეთ სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1982 წლის ნოემბრის პლენუმის გადაწყვეტილებანი, ამ პლენუმზე სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის ი. ვ. ანდროპოვის სიტყვაში ჩამოყალიბებული დებულებები და დასკვნები, გავეცანით ქალაქ მოსკოვის შრომითი კოლექტივებისა და თბილისის დიმიტროვის სახელობის საავიაციო ქარხნის შრომელთა ინიციატივას და გადავწყვეტეთ, ფართოდ გავშალოთ მოძრაობა შრომის ხარისხის გაუმჯობესებისა და სახელმწიფო, საწარმოო და ტექნოლოგიური დისციპლინის განმტკიცებისათვის.

შეგნებული გვაქვს რა, რომ დისციპლინა არის არა მარტო ზნეობრივი, არამედ მატერიალური კატეგორიაც, ვალდებულებას ვკისრულობთ მკაცრად მოვკიოხოთ ყველას, ვინც მას არღვევს, ვინც საქმისადმი დაუდევრი დამოკიდებულებით, უღირსი ხაქციელით ლახავს ტუვიავის მცხოვრების მაღალ ავტორიტეტს. გადავწყვიტეთ ამ საქმეში გავზარდოთ არა მარტო საზოგადოებრივი ორგანიზაციების, არამედ ოჯახის როლიც, რომელიც უნდა გახდეს შრომისადმი, მოვალეობისადმი, სწავლისადმი კომუნისტური დამოკიდებულების ჩანერგვის ნამდვილი ცენტრი. ამიტომ, ერთსულოვანი გადაწყვეტილებით, თუ ჩვენი სოფლის რომელიმე მცხოვრების ოჯახის წევრი დაარღვევს საზოგადოებრივ წესრიგს ან დისციპლინას, ჩაიდენს საძრახის საქციელს, მთელი ოჯახი დაკარგავს უფლებას მიიღოს შრომის პრემიული ანაზღაურება.

საზოგადოებრივად სახარგებლო შრომაში მონაწილეობას მიიღებს სოფლის ყველა შრომისუნარიანი მცხოვრები. ჩვენ გადამწყვეტ და უკომპრომისო ბრძოლას ვუცხადებთ დატაცებას, მუქთახორობას, ლოთობასა და ხულიგნობას.

დისციპლინა ყველა თავისი გამოვლინებით ჩვენი ცხოვრების ნორმა გახდება.

ამ ვალდებულებას რომ ვკისრულობთ, რესპუბლიკის ყველა სოფლის მშრომელს მოვუწოდებთ მხარი დაგვიჭიროს, სასოფლო-სამეურნეო წარმოების ყველა უბანზე, ყველა სასოფლო დაწესებულებაში, ყოველ ოჯახში შექმნან სახელმწიფო, შრომის და საშემსრულებლო დისციპლინის განუხრელი დაცვის ატმოსფერო. ჩვენი, სოფლის მცხოვრებლების მაღალი ორგანიზებულობა, დისციპლინის მაღალი დონე ხომ მეთერთმეტე ხუთწლედის დავალებების, პარტიის მიერ დასახული ქვეყნის სასოფლოთო პროგრამის წარმატებით შესრულების უმნიშვნელოვანესი პირობაა.

ცხოვრებით ნაკარნახევი ოთხოვნა

ამ დღეებში პრესაში გამოქვეყნდა თბილისის დიმიტროვის სახელობის საავიაციო ქარხნის კოლექტივის მიმართვა რესპუბლიკის ყველა მშრომელისადმი, რომელმაც დიდი აღფრთოვანება გამოიწვია თბილისის კამოლ-მაუდის კომბინატის „სპბჭოთა საქართველოს“ კოლექტივში.

დიმიტროველთა ახალ პატრიოტულ ინიციატივას „სანიმუშო დისციპლინა, მაღალი ორგანიზებულობა, აქტიურობა და პასუხისმგებლობა — თითოეულისაგან, ყველგან და ყველფერში“ — ფართოდ ეხმაურებიან ჩვენი საწარმოს მშრომელები, და იგი ჩვენი მომავალი მუშაობის ძირითად სამოქმედო პროგრამად გადაიქცევა.

თბილისის კამოლ-მაუდის კომბინატი, სადაც ჩვენ ვმრომობთ, რესპუბლიკის მსუბუქი მრეწველობის ერთ-ერთი უდიდესი საწარმოა. იგი მტკიცედ დადგა ინტენსიური განვითარების გზას, მისმა კოლექტივმა აღიდგინა სახელი, ავტორიტეტი და ენერგიულად ჩაება მეთერთმეტე ხუთწლედის სახელმწიფო დავალებათა შესრულებისათვის ბრძოლაში.

შარშანდელი წელი ნაყოფიერი გამოდგა. ეგებმა გადამეტებით გამოვუშვით 2 მილიონ 17 ათასი მანეთის პროდუქცია, ხოლო რეალიზებულია 2 მილიონ 749 ათასი მანეთის ზეგეგმითი ნაწარმი, მთლიან მოცულობაში მნიშვნელოვნად გავზარდეთ მაღალი ხარისხის პროდუქციის ხვედრითი წილი, გავაუმჯობესეთ სხვა ტექნიკურ-ეკონომიკური მაჩვენებლები, რის გამოც რესპუბლიკის მონათესავე საწარმოთა შორის გაშლილ სოციალისტურ შეჯიბრებაში კომბინატი პირველ და მეორე კვარტალში პირველ ადგილზე გამოვიდა. იგი საქართველოს მსუბუქი და საფეიქრო მრეწველობის მუშაკთა პროფკავშირის რესპუბლიკური კომიტეტის გარდამავალი წითელი დროშით დაჯილდოვდა.

ეს წარმატება განაპირობა თითოეულ სამუშაო ადგილზე ხარისხობრივი მაჩვენებლების ამაღლებამ, რეზერვების გამოვლენამ, მათმა მაქსიმალურმა გამოყენებამ და, რაც მთავარია, ტექნოლოგიური და საწარმოო დისციპლინის განმტკიცებამ. სწორედ ეს არის ჩვენი მიღწევების თავიდათავი.

კომბინატის კოლექტივი ფართოდ გაათვლიანა მოსკოვის მოწინავე საწარმოთა კოლექტივების ინიციატივას იშრომონ დევიზით: „პატივი და დიდება — შრომის მიხედვით!“ ინიციატორი კოლექტივების წარმომადგენელთა კრებაზე ხაზგასმით აღინიშნა, რომ საჭიროა ყველგან შექმნან შრომისა და საზოგადოებრივი დისციპლინის დარღვევის თითოეული შემთხვევისადმი შეურიგებლობის ვითარება, გაქცევნას, სამუშაოზე დაგვიანებას, წარმოებიდან თვითნებურ წასვლას მოეკიდონ როგორც საგანგებო შემთხვევას. წამოყენებულია წინადადება, კოლექტივებში დისციპლინის მდგომარეობა მიიჩნიონ სოციალისტური შეჯიბრების ერთ-ერთ მთავარ მაჩვენებლად.

ეს პირდაპირ ჩვენი გულისთქმაა, ჩვენი ფიქრია და ეს გრძნობა კიდევ უფრო გვიორკეცდება, რადგან სკკპ ცენტრალური კომიტეტის ენერგიალურმა მდივანმა ამხანაგმა ი. ვ. ანდროპოვმა მაღალი ტრიბუნიდან დისციპლინის განმტკიცებისაკენ მოგვიწოდა.

მოგეხსენებათ, მრთველის პროფესია რთულია. ახალგაზრდების მოწოფეობის ვადა საკმაოდ ხანგრძლივია, ამის გამო ხშირია შემთხვევები, როცა ახალგაზრდები სამუშაოს გულს ვერ უდებენ და საწარმოდან გარბიან. ეს შეუწყარებელია. პროფტექნიკური სასწავლებლის კურსდამთავრებული ვალდებულია განაწილებით საწარმოში ორ წელიწადს მაინც იმუშაოს, მაგრამ სამწუხაროდ, ხშირად ასე არ იქცევიან, თვითნებურად ტოვებენ სამუშაოს და მიდიან!...

საკუთარ თავსაც გვინდა ვუსაყვედუროთ. თითოეულმა ოსტატმა, პროფესიაში საუკეთესო ადამიანებმა ახალგაზრდებს უნდა ასწავლონ შრომის სიყვარული, შრომელიერი საწარმოს, გვერდით მომუშავე მუშაკების პატივისცემა. (ოტა დრო და მოთმინებაა საჭირო, თორემ ჩვენთან ისე დაგვეწყლია მატერიალური წახალისების სისტემა, რომ ძმიმე მრეწველობაში ზოგიერთ მომუშავესაც კი შეშურდება. გულმოდგინე შრომით თვეში 400-450 მანეთს გამოვიმუშავებთ ხოლმე, შრომის ამაზე მეტი დაფასება განა შეიძლება? ამასთან რატომ ხდება, რომ ჩვენგან წასულ მუშას, რომელმაც მიატოვა სამუშაო, სხვა დაწესებულებაში ყოველგვარი წინააღმდეგობის გარეშე იღებენ, ჩვენგან გაცილებულ კაცს ყველგან გზა ხსნილი აქვს და არავინ ეკითხება მას, რატომ დაითხოვეს, რატომ მიატოვა ძველი სამუშაო? გამოდის, რომ ჩვენი საწარმოს ხელმძღვანელობა „ცუდი გამოდგა“, ის კი, ვინც მიიღო, კარგია. ამ „ფალსაზრისით საჭიროა, „ფეოიანებნს რაღაც ფორმა, რომ მუშა მეტი პასუხისმგებლობით განიმსჭვალოს იმ საწარმოს კოლექტივის მიმართ, სადაც შრომობს. ამით შეიძლება მნიშვნელოვნად შემცირდეს „ფლუნია“ მუშების რიცხვი, ხელი შეეწყოს შრომის კანონმდებლობის დაცვას.

უნდა აღინიშნოს, რომ ამ მიმართულებით ძალზე კარგი შედეგი მოგვცა შრომის ბრიგადული ანაზღაურების ახალ სისტემაზე გადასვლამ. რა დასამალია და ჩვენს ბრიგადაში ხშირი იყო გაცდენები, ახლა კი სულ სხვაგვარად შეტრიალდა საქმე. ბრიგადის წევრებს საამქროს უფროსი კი არ ტუქსავს, არამედ ჩვენ, ამხანაგები, კოლექტივი. ცხადია, უპირველესად ვარკვევთ გაცდენის მიზეზს. მისი დაგვიანება ან მოუსვლელობა ხომ ბრიგადის თითოეული წევრის შრომის ანაზღაურებაზე მოქმედებს. ახალ მეთოდზე გადასვლამ, მართლაც რომ, კარგი ნაყოფი გამოიღო.

გვინდა ერთ საკითხსაც შეეხოთ. ეს გახლავთ ტრანსპორტით უზრუნველყოფა, ჩვენი კომბინატის მუშა-მოსამსახურეები გვიან ამთავრებენ სამუშაოს, ამ დროს ტრანსპორტი თითქმის აღარ მოძრაობს ქალაქში. გაგიკვირდებათ, მაგრამ თბილისის ტრანსპორტის საწარმოო გაერთიანებიდან ჩვენი საწარმოს 2000-ზე მეტ მუშაას, არც ერთი ავტობუსი არ ემსახურება. კომბინატი ორი პატარა ოცდაერთადგილიანი ავტობუსის ანაბარაა დარჩენილი.

საშინლად გაძნელდა მოძრაობა ავჭალიდან შეტროს სადგურ დიდუბის გაყოლით ჩვენს კომბინატამდე. პიკის საათებში აქ მოძრაობა თითქმის შეუძლებელია და, რაც ყველაზე მეტად აღმაშფოთებელია, ავჭალიდან კომბინატამდე თითქმის არც ერთი ტრანსპორტი აღარ მოდის. იყო № 3 ტროლეი, რომელიც კარგად ემსახურებოდა მუშებს, მაგრამ მას რატომღაც მარშრუტი შეუცვალეს. როგორც არის, მოვალთ კომბინატამდე, ეს მერე. ახალ გასაპირში ვეარდებით. მოპირდაპირე მხარეს გადასვლას ვეღარ ვახერხებთ, ლამის მანქანებმა წაგვლეკოს... იქნებ საქართველოს სსრ ტრანსპორტის სამინისტრომ მოახერხოს წილობრივი წესით მიწისქვეშა გადასასვლელის მოწყობა, ამით უსაფრთხო მოძრაობას უზრუნველვყოფთ.

ადამიანზე ყველა უარყოფითი მოვლენა მოქმედებს, ჩვენ ქალები ვართ, სამსახურის გარდა, საოჯახო საქმეც გვაწევს.

დისციპლინის განმტკიცება ვაჭრობის მუშაკებსაც მართებთ. სამუშაოს დამთავრების შემდეგ, დაღლილებს, მაღაზიაში გაგვლა გვიწევს. ამას წინათ ერთ-ერთ ჩვენგანს მაღაზიაში უსიამოვნება გადახდა. ხურდის დაბრუნებისთვის ნამდვილი ბრძოლა დასჭირდა. და ვიდრე კატეგორიულად სალაროს დახურვა არ მოითხოვა, იქამდე ხურდა არ მისცეს. კარგი იქნება, თუ ვაჭრობის მომსახურება ისე ამაღლდება, რომ ყველა მუშას უსიფრთხოდ მაღაზიაში შესვლა, გამყიდველთან გამოლაპარაკება, ამა თუ იმ ნაწარმის ყიდვა და შეძენა.

ამ ფურცელზე: „ბაკინსკელ კომისრებს“ — ფ. ტოლბუხინის, ს. ორჯონიკიძის, ს. ბუდიონის, ვ. ჩაპაევის, ვ. ბლუხერის, ს. ბუბნოვის, ი. ფეიერბერგის, ი. ფეტკოს, ა. ფედოროვის, ა. ალიბეგოვის, ნ. ბაბიაევის, ა. ბაბიაევის, ა. ბაბიაევის, ა

ტიხონ იაკობის ძე კისელიოვი

1983 წლის 11 იანვარს მძიმე და ხანგრძლივი ავადმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრობის კანდიდატი, ბელორუსიის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის წევრი ტიხონ იაკობის ძე კისელიოვი. წაიდა ჩვენგან კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა სახელმწიფოს თვალსაჩინო მოღვაწე, რომელმაც მთელი სიცოცხლე შეალია კომუნიზმის მშენებლობის დიდ საქმეს.

ტიხონ იაკობის ძე კისელიოვი დაიბადა 1917 წლის 12 აგვისტოს გომელის ოლქის ახლანდელი დობრუშის რაიონის სოფელ ოგოროდნიაში, ღარიბი გლეხის ოჯახში. სკკპ წევრია 1940 წლიდან. დაამთავრა გომელის პედაგოგიური ინსტიტუტი და სკკპ ცენტრალურ კომიტეტთან არსებული უმაღლესი პარტიული სკოლა. დიდხანს მუშაობდა შვიდწლიანი სკოლის მასწავლებლად, სასწავლო ნაწილის გამგედ, საშუალო სკოლის დირექტორად. 1944 წლიდან ტიხონ იაკობის ძე კისელიოვი პარტიულ საშუშაოზეა. იყო პარტიის გომელის საოლქო კომიტეტის ინსტრუქტორი, ბრესტის საოლქო კომიტეტის ლექტორთა ჯგუფის ხელმძღვანელი, ბელორუსიის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პროპაგანდისა და აგიტაციის განყოფილების გამგის მოადგილე, განყოფილების გამგე. 1952 წლიდან ტ. ი. კისელიოვი პარტიის ბრესტის საოლქო კომიტეტის პირველი მდივანია, შემდეგ ბელორუსიის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივანი და მეორე მდივანი. თითქმის ოცი წლის მანძილზე იგი მუშაობდა ბელორუსიის სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარედ. აქ მკაფიოდ გამოვლინდა ტიხონ იაკობის ძე კისელიოვისათვის დამახასიათებელი ნიჭიერი პარტიული და საბჭოთა ხელმძღვანელის შესანიშნავი თვისებები. მან ბევრი რამ გაკეთა ომის წლებში დანგრეული ქალაქების, სოფლების, სამრეწველო საწარმოების, კოლმეურნეობების, საბჭოთა მეურნეობების აღდგენისათვის, რესპუბლიკის საწარმოო ძალების შემდგომი განვითარებისათვის მშრომელთა დასაბარზმავად. ამ წლების მანძილზე ბელორუსიაში შეიქმნა ეკონომიკის ახალი დარგები, მაღალ მიჯნებზე გავიდა სოფლის მეურნეობა, განხორციელდა დიდი სოციალური გარდაქმნები.

1978 წლიდან ტ. ი. კისელიოვი მუშაობდა სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილედ. 1980 წლის ოქტომბერში ტიხონ იაკობის ძე კისელიოვი აირჩიეს ბელორუსიის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველ მდივნად. იგი პარტიის XXII ყრილობიდან საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის წევრი იყო. 1980 წლის ოქტომბრიდან ტ. ი. კისელიოვი სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრობის კანდიდატი. იგი არჩეული იყო სსრ კავშირის მეოთხე და შემდგომი მოწვევების უმაღლესი საბჭოს დეპუტატად, 1981 წლის ივნისიდან სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის წევრი იყო.

ტიხონ იაკობის ძე კისელიოვი ყველა უბანზე, სადაც მას პარტია გზავნიდა, იჩენდა შემოქმედებასა და ინიციატივას საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის პოლიტიკის განხორციელებაში. მას ახასიათებდა მაღალი კომპეტენტურობა და ერუდიცია, პრინციპულობა და გერგილიანობა, ყურადღება და გულისხმიერება ადამიანებისადმი, პირადი მომხიბვლელობა და თავმდაბლობა. ყოველივე ამან ტიხონ იაკობის ძეს ფართო აღიარება და ავტორიტეტი მოუპოვა.

კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა სახელმწიფოს წინაშე დიდი დამსახურებისათვის ტ. ი. კისელიოვს 1977 წლს მიენიჭა სოციალისტური შრომის გმირის წოდება. იგი დაჯილდოებული იყო ხუთი ლენინის ორდენით, ოქტომბრის რევოლუციის, „ხალატო ნიშნის“ ორდენებითა და ბევრი მედლით.

ტიხონ იაკობის ძე კისელიოვის, ლენინური პარტიისა და საბჭოთა ხალხის ერთგული შვილის, მგზნებარე პატრიოტისა და კომუნისტის ნათელი ხსოვნა სამუდამოდ დარჩება საბჭოთა ადამიანების გულში.

ი. ვ. ანდროპოვი, ჯ. ა. ალიევი, მ. ს. გორბაჩოვი, ვ. ვ. გრიშინი, ა. ა. გრომიკო, დ. ა. კუნაევი, ა. ი. პელშე, ბ. ვ. რომანოვი, ნ. ა. ტიხონოვი, დ. თ. უსტინოვი, ვ. ვ. შჩერბიცკი, კ. უ. ჩერნენკო, პ. ნ. დემიჩევი, ვ. ი. დოლგიხი, ვ. ვ. კუზნეცოვი, ბ. ნ. პონომარიოვი, შ. რ. რაშიდოვი, ვ. ს. სოლომენცევი, ე. ა. შევარდნაძე, მ. ვ. ზიმიანინი, ი. ვ. კაპიტონოვი, ნ. ი. რიჟკოვი, კ. ვ. რუსაკოვი, თ. ნ. ვენთიშვილი, ა. ნ. აჭხიონოვი, ვ. ბ. ბალუევი, ვ. ი. ბროვიკოვი, ნ. ი. დემენტეი, ე. თ. ივანოვსკი, ი. ბ. კოლოკოლოვი, ა. ტ. კუზნეცოვი, ნ. ი. ლაბერი, ვ. ა. მიკულიჩი, ვ. თ. მიცკევიჩი, ნ. ნ. პოლეტაევი, ი. ე. პოლიაკოვი, ლ. ს. ფირსანოვი, ი. მ. ხუსაინოვი, ი. თ. იაკუშევი, ვ. ე. ლობანოკი, ნ. ლ. სნეჟკოვა, ვ. პ. შალიკო, ლ. ბ. კლეცკოვი, ა. ა. მალოფეევი, ვ. ვ. პრიშჩეპჩიკი, ე. ე. სოკოლოვი, ს. ბ. შაბაშოვი, ბ. ბ. ბარტოშევიჩი, ნ. ა. ბორისევიჩი, ლ. დ. ბრიზგა, ე. ი. კლიმჩენკო, ვ. ლ. ბედულია, ე. ი. სკურკო (მაქსიმ ტანკი).

მშვიდობის რეალისტური პროგრამა

სოციალისტური თანამეგობრობის ქვეყნების ახალი კონსტრუქციული ინიციატივები კაცობრიობას უსახავენ საყოველთაო მშვიდობისა და საერთაშორისო უშიშროების განმტკიცების რეალურ გზას, ხაზგასმით აღნიშნავენ თავიანთ კომენტარებში ხაზგვარგარეთის მასობრივი ინფორმაციის საშუალებანი. პოლიტიკური საკონსულტაციო კომიტეტის პრაღის თათბირის პოლიტიკურ დეკლარაციაში ჩამოყალიბებული ვარშავის ხელშეკრულების მონაწილე სახელმწიფოთა სამშვიდობო წინადადებანი, სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს გადაწყვეტილება მთლიანად და სავსებით მოიწონონ საბჭოთა დელეგაციისა და მისი მეთაურის ამხანაგ ი. ვ. ანდროპოვის საქმიანობა, ასახავს მაღალი პასუხისმგებლობის სულისკვეთებას და ზრუნვას მშვიდობის ბედისათვის, მტკიცე გადაწყვეტილებას თავიდან აიცილონ ბირთვული ომის საფრთხე, შეინარჩუნონ და განამტკიცონ დაძაბულობის შენელება, განამტკიცონ უშიშროება და თანამშრომლობა ევროპის კონტინენტზე და მთელ მსოფლიოში.

ამასთან პრესა აღნიშნავს, რომ ამერიკის შეერთებული შტატების მმართველ წრეებსა და ნატოს ზოგიერთ სხვა ქვეყანაში ჯერ კიდევ არის „დიდი აზრთა სხვადასხვაობა სოციალისტური ქვეყნების წინადადებების თაობაზე“.

კანადის პრემიერ-მინისტრმა პ. ტრიუდომ დადებითად შეაფასა პოლიტიკურ დეკლარაციაში მოცემული წინადადებანი და მოუწოდა ნატოს ქვეყნებს განიხილონ ისინი. კუალა-ლუმპურში (მალაიზია) გამოსვლისას კანადის მთავრობის მეთაურმა განაცხადა: „ნატოს ქვეყნებმა და განსაკუთრებით ამერიკის შეერთებულმა შტატებმა ეს წინადადებანი ითმაგვითვე არ უნდა უარყონ. მოდით მივუსხდეთ მოლაპარაკების მაგიდას და განვიხილოთ ისინი“. კანადის პრემიერ-მინისტრმა განსაკუთრებული ყურადღება მიაპყრო საბჭოთა კავშირის პოზიციას ევროპაში საშუალო სიშორის რაკეტების განლაგების საკითხში და წინადადებას იმის შესახებ, რომ ვარშავის ხელშეკრულების სახელმწიფოებმა და ნატოს ქვეყნებმა იკისრონ ვალდებულება პირველი-ებმა არ იხმარონ როგორც ბირთვული იარაღი, ისე ჩვეულებრივი შეიარაღება. მან ქმაყოფილება გამოთქვა იმის გამო, რომ საბჭოთა კავშირი მზად არის შეამციროს თავისი საშუალო სიშორის რაკეტების რიცხვი ევროპაში და იქონიოს იმდენი, რამდენიც აქვთ ინგლისსა და საფრანგეთს.

იტალიის საგარეო საქმეთა მინისტრმა ე. კოლომბომ რადიოთი თავის გამოსვლაში განაცხადა: „ახლა ჩვენ დიდი ყურადღებით უნდა გავაანალიზოთ საბჭოთა წინადადებების შინაარსი და მნიშვნელობა, რაც ერთობლივად უნდა გავაკეთოთ. ეს არ უნდა იყოს ცალკეულ სახელმწიფოთა რეაქცია. საგულდაგულო ანალიზი უნდა ჯაჯეთოს ნატოს წევრმა ყველა ქვეყანამ, რათა შეეძლოთ საერთო პასუხის გაცემა“. „მაგრამ, — დასძინა მინისტრმა, — ვფიქრობ, არის მთელი რიგი კრიტიკულობები, რომლებითაც უნდა ვახელმძღვანელოთ ამ წინადადებათა გაანალიზებისას“.

ჩეხოსლოვაკია

სხდომა პრაღაში

პრაღა. აქ გაიხსნა ვარშავის ხელშეკრულების მონაწილე სახელმწიფოთა თავდაცვის მინისტრთა კომიტეტის მორიგი სხდომა. მის მუშაობაში მონაწილეობენ ბულგარეთის სახალხო რესპუბლიკის სახალხო თავდაცვის მინისტრი არმიის გენერალი დ. ჯუროვი, გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის ეროვნული თავდაცვის მინისტრი არმიის გენერალი ჰ. ჰოფმანი, პოლონეთის სახალხო რესპუბლიკის ეროვნული თავდაცვის მინისტრის მოადგილე გენერალი ფ. სივიცკი, რუმინეთის სოციალისტური რესპუბლიკის ეროვნული თავდაცვის მინისტრი გენერალ-პოლკოვნიკი კ. ოლტეანუ, სსრ კავშირის თავდაცვის მინისტრი საბჭოთა კავშირის მარშალი დ. თ. უსტინოვი, უნგრეთის სახალხო რესპუბლიკის თავდაცვის მინისტრი არმიის გენერალი ლ. ცინეგეი, ჩეხოსლოვაკიის სოციალისტური რესპუბლიკის ეროვნული თავდაცვის მინისტრი არმიის გენერალი მ. ძური.

სხდომაში მონაწილეობენ აგრეთვე ვარშავის ხელშეკრულების მონაწილე სახელმწიფოთა გაერთიანებული შეიარაღებული ძალების მთავარსარდალი სსრ კავშირის მარშალი ვ. გ. კულიკოვი და ვარშავის ხელშეკრულების მონაწილე სახელმწიფოთა გაერთიანებული შეიარაღებული ძალების შტაბის უფროსი არმიის გენერალი ა. ი. გრიბკოვი.

ზიმბაბვე

ამხილეგენ რეაქციონერებს

ჰარარე. აფრიკის სრული დეკოლონიზაციის საკითხში ამერიკის შეერთებული შტატებისა და სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკის რეაქციული როლი ამხილა ზიმბაბვეს პრემიერ-მინისტრმა რ. მუგაბემ. აფრიკა-ამერიკის ინსტიტუტის აქ მიმდინარე მე-13 კონფერენციის მონაწილეების წინაშე გამოსვლისას, მან „შანტაჟი“ უწოდა ვაშინგტონისა და პრეტორიის მოქმედებას, რომლებიც ცდილობენ გაჯიანურონ ნამიბიისათვის დამოუკიდებლობის მინიჭება, დაგმო „ფრონტისპირა სახელმწიფოების“ წინააღმდეგ რასისტთა აგრესიის განუწყვეტელი აქტები.

ამერიკის შეერთებული შტატები, რომელიც დაჟინებით მოითხოვს, რომ ნამიბიის პრობლემის გადაწყვეტა დაუკავშირონ ანგოლიდან კუბელ ინტერნაციონალისტთა გამოყვანას, წინააღმდეგობას ქმნის ნამიბიაში მშვიდობიანი მოწესრიგების გზაზე, — თქვა რ. მუგაბემ. თავისი მოქმედებით იგი ფაქტობრივად აქეზებს აპარტეიდის რეჟიმს გააძლიეროს თვითნებობა ოკუპირებულ ტერიტორიაზე, აგრესიის ესკალაცია აფრიკის დამოუკიდებელი სახელმწიფოების წინააღმდეგ. ამერიკის შეერთებული შტატების წაყრუებით რასისტები განაგრძობენ ანგოლის სამხრეთ რაიონების ოკუპაციას, მხარს უჭერენ ანგოლის მოწინააღმდეგე უნიტას ტერორისტულ დაჯგუფებას, რომელიც მჭიდროდაა დაკავშირებული ვაშინგტონთან.

ტელეტაიპის ლენტიდან

მზადდება შეთქმულება

პარიზი. როგორც ლიმედან ფრანს პრესის საგენტო იუწყება, ტოგოს პრეზიდენტმა გნასინგბე ეიადემამ განაცხადა, რომ ხელისუფალთ ხელთ აქვთ მონაცემები, რომლებიც მოწმობს სახელმწიფო გადატრიალებისათვის მზადებას.

სახელმწიფოს მეთაურმა აღნიშნა, რომ გარეული ძალების მიერ შემოშავებული შეთქმულების მიზანია უცხოელ დაქირავებულთა მეშვეობით დაამხონ რესპუბლიკის მთავრობა.

მეამბოხეთა ბანდის შემადგენლობაში, თქვა მან, არის ბრიტანელი ქვეშევრდომთა ჯგუფი, მათ შორის ვინმე ჯონ ტომკინსკი, რომელიც 1977 წელს მონაწილეობდა ტოგოს პრეზიდენტის მკვლელობის წარუმატებელ ცდაში.

დაკეტეს საზღვარი

პარიზი. ფრანს პრესის საგენტო ჯიბუტიდან იუწყება, რომ სომალის ხელისუფლებამ მიიღო გადაწყვეტილება დაკეტოს საზღვარი ჯიბუტის რესპუბლიკასთან ლოიადის რაიონში. ეს გადაწყვეტილება მიიღეს შფოთიანობის გამო, რომელიც სომალის ჩრდილოეთით სუფევს.

საგენტოს ცნობით, 1 იანვარს ღამით მეამბოხეთა რაზმმა გაათავისუფლა სომალის ამ ნაწილში მდებარე მანდერას საპატიმროს 700 პატიმარი. ამჟამად მთავრობის ჯარები ჩხრეკენ ამ რაიონს.

დააპატიმრეს ჯაშუში

ქაბული. ავღანეთის სახელმწიფო უშიშროების ორგანოებმა ნანგარჰარის პროვინციაში დააპატიმრეს პაკისტანელი ჯაშუში, ვიწმე ხედაიათულა, იუწყება ბაქთარის საგენტო. მან აღიარა, რომ ავღანეთში შეგზავნეს ძირგამომთხრელი საქმიანობისა და დემოკრატიული ავღანეთის ტერიტორიაზე მოქმედი კონტრრევოლუციური ბანდების დასახმარებლად.

ხედაიათულა პაკისტანის საიდუმლო პოლიციის თანამშრომელი იყო. როგორც მან თქვა, ამერიკის ცენტრალური სადაზვერვო სამმართველო პაკისტანის დაზვერვასთან ერთად შუამდინ ძირგამომთხრელ საქმიანობას ეწევა რეჟოლუციური ავღანეთის წინააღმდეგ.

დანიშნეს პრემიერ-მინისტრი

კოტონუ. ზემო ვოლტის დედაქალაქ უაგადუგუდან მიღებული ცნობით, კაპიტანი თომას სანკარა დანიშნა ქვეყნის პრემიერ-მინისტრად. ეს გადაწყვეტილება მიიღეს ხალხის ხსნის დროებითი საბჭოს საგანგებო სხდომაზე. აღნიშნული საბჭო, როგორც ცნობილია, 1982 წლის 7 ნოემბრის სახელმწიფო გადატრიალების შემდეგ ზემო ვოლტის უმაღლესი ხელმძღვანელი ორგანოა.

შრომის დღესასწაული, აღმშენებლობის ზეიმი

(დასასრული)

მხურვალე მადლობა გადაუხადა პარტიასა და მთავრობას თბილისელთა შრომის მაღალი შეფასებისათვის, პირობა დადო, რომ ისინი ძალ-ღონეს არ დაიშურებენ, რათა ამრავლონ მიღწეული წარმატებანი, განახორციელონ სკკპ XXVI ყრილობისა და საქართველოს კომპარტიის XXVI ყრილობის გადაწყვეტილებანი.

სოციალისტურ შეჯიბრებაში თბილისელთა მიერ მიღწეული წარმატება პარტიის თბილისის საქალაქო კომიტეტის შესახებ სკკპ ცენტრალური კომიტეტის ისტორიული დადგენილების შემდეგ განვლილი ათწლეულის მანძილზე გაწეული მუშაობის თავისებური შედეგია. საგულისხმოა ისიც, რომ იგი აგვირგვინებს შრომას სსრ კავშირის შექმნის 60 წლისთავის წელს, იმ წელს, როდესაც რესპუბლიკის დედაქალაქს გადაეცა ლენინის ორდენი.

მოხსენებასა და გამოსვლებში ხაზგასმით აღინიშნა: ყოველივე მიღწეული პირდაპირი შედეგია ამისა, რომ კიდევ უფრო გაუმჯობესდა ეკონომიკისადმი პარტიული ხელმძღვანელობა, ზუსტად იყო განსაზღვრული მუშაობის კონკრეტული უბნისათვის ხელმძღვანელი კადრების პერსონალური პასუხისმგებლობა, უკეთ შეეხამა ერთმანეთს ხელმძღვანელობის დარგობრივი და ტერიტორიული პრინციპები და, რაც მთავარია, კონკრეტულ საქმეებად გადაიქცა მასების ენთუზიაზმი და შემოქმედება.

ქალაქმა შეიძინა და რაიონულ რგოლებში გაავრცელა ადგილობრივი სამრეწველო პოტენციალის შესაძლებლობათა გამოყენების საფუძველზე სოციალურ-ეკონომიკური განვითარების რეგიონალური დაგეგმვის გამოცდილება. სამეურნეო ცხოვრების მართვაში სულ უფრო ფართოდ ებმება დედაქალაქის საზოგადოებრიობა. ეს ყველაზე ეფექტურად გამოხატულებას პოულობს საცხოვრებელ ადგილას მიკრორაიონების საბჭოების მუშაობაში.

წოვილი დროშით დაჯილდოება, აღინიშნა კრებაზე, არა მარტო წარსულში მიღწეული კარგი შედეგების მაღალი შეფასება, არამედ სამერმისო გზის დალოცვაც არის. იგი ქალაქის მშრომელებს ახალ, უფრო რთულ და პასუხსაგებ ამოცანებს აკისრებს და მოითხოვს ყველასგან სრულ მზადყოფნას მათი შესრულებისათვის. წლის შედეგების გათვალისწინებით საჭიროა ერთხელ კიდევ გავიაზროთ განვლილი და მომავალი გზა სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1982 წლის ნოემბრის პლენუმის გადაწყვეტილებათა შესაბამისად.

როგორც პლენუმზე სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის ი. ვ. ანდროპოვის სიტყვაში აღინიშნა, მეთერთმეტე ხუთწლედის ახლანდელი, მესამე წელი ყველა კომუნისტისაგან, ყველა შრომელისაგან მოითხოვს მაღალორგანიზებულ ეფექტიან შრომას. ამასთან დაკავშირებით უფრო მეტი ყურადღება უნდა დაეთმოს სახელმწიფო, შრომისა და საშემსრულებლო დისციპლინის განმტკიცებას წარმოების ყოველ უბანზე, მართვის ყველა სფეროში. გერგილიანობის ამაღლების, რეზერვების გამოყენების, ყველა სახეობის რესურსების დაზოგვის, ხარისხობრივი მაჩვენებლების გაუმჯობესების გზით შრომითი კოლექტივები შეძლებენ უმცირესი დანაკარგებით მიაღწიონ უმაღლეს საბოლოო შედეგებს. მთავარი ამოცანა მომდინარე წლისა, რომელსაც მოსწრებულად ეწოდა მეთერთმეტე ხუთწლედის შუაგული წელი, ის არის, რომ რაც შეიძლება მეტად გადავაჭარბოთ ყოველივე იმას, რაც გეგმით არის დასახული.

ყოველივე ეს უშუალოდ ეხება როგორც მთლიანად რესპუბლიკას, ისე უწინარეს ყოვლისა, მის დედაქალაქსაც. უწინარეს ყოვლისა იმიტომ, რომ თბილისი განსაზღვრავს რესპუბლიკის მთელი ეკონომიკური და საზოგადოებრივ-პოლიტიკური ცხოვრების რიტმულ მაჯისცემას.

ახალ წელს ქალაქის, მისი პარტიული ორგანიზაციის წინაშე მთელი რიგი სერიოზული პრობლემები დგას. აღინიშნა, კერძოდ, რომ საჭიროა სახალხო მეურნეობის მართვის ქმედითი სრულყოფა და მისი ინტენსიფიკაცია. უფრო მეტად უნდა ვიზრუნოთ წარმოებასთან მეცნიერების ინტეგრაციისათვის, მეცნიერებისა და ტექნიკის მიღწევათა დანერგვის გზით მივაღწიოთ შრომის ნაყოფიერების ზრდის ტემპის დაჩქარებასა და წარმოების მოცულობის მატებას.

ერთი წლის წინათ თბილისმა სოციალისტური შეჯიბრების ხელშეკრულებანი დადო მოძმე ქალაქებთან — ბაქოსთან, ერევანთან, სვერდლოვსკთან. ეს ხელშეკრულებანი შესრულდა. დამკვიდრებული ტრადიციისამებრ, უნდა განისაზღვროს აგრეთვე მიმდინარე წლის სოციალისტური შეჯიბრების პირობები. მათ საფუძვლად დაედება თბილისის მშრომელთა მიერ 1983 წლისათვის ნაკისრი სოციალისტური ვალდებულებანი, რომლებიც მიიღეს აქტივის კრებაზე.

შეძენილი გამოცდილების, მიღწეულის შემოქმედებითი განვითარების, ახლის გაბედული ძიებისა და რეზერვების ნოვატორული გამოყენების საფუძველზე, განაცხადეს კრების მონაწილეებმა, რესპუბლიკის დედაქალაქის მშრომელები მთელ თავიანთ ენერგიას, ყველა შესაძლებლობას მოახმარენ ახალი გეგმების, პარტიის წინასწარდასახულობათა განხორციელებას. მომდინარე ხუთწლედის შუაგული წელი ისეთივე წარმატებული იქნება, როგორიც იყო წინა ორი წელი.

კრების მონაწილეებმა დიდი აღფრთოვანებით მიიღეს მისასალმებელი წერილი სკკპ ცენტრალური კომიტეტისადმი. (საქინფორმი).

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ლიტერატურის, ხელოვნებისა და არქიტექტურის დარგის სახელმწიფო პრემიების კომიტეტი

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ლიტერატურის, ხელოვნებისა და არქიტექტურის დარგის რუსთაველის სახელობის სახელმწიფო პრემიების კომიტეტის პრეზიდიუმმა განიხილა 1983 წლის საქართველოს სსრ შოთა რუსთაველის სახელობის სახელმწიფო პრემიების მოსახავებლად წარმოდგენილი ნამუშევრები და მიიღო გადაწყვეტილება კონკურსში მონაწილეობისათვის დაუშვას შემდეგი კანდიდატურები:

ლიტერატურის დარგში

ჯაფარიძე რევაზ ანდრიას ძე — რომანისათვის „მძიმე ჯვარი“. წარმოადგინეს საქართველოს სსრ გამსახკომმა და ეურნალ „მნათობის“ რედაქციამ.

ჭილაძე ოთარ ივანეს ძე — რომანისათვის „რკინის თეატრი“. წარმოადგინა გამომცემლობა „მერანმა“.

მუსიკის დარგში

ვირსალაძე ელისო კონსტანტინეს ასული — საკონცერტო მოღვაწეობისათვის ბოლო წლების მანძილზე. წარმოადგინა საქართველოს სსრ კულტურის სამინისტრომ.

ისაკაძე ლიანა ალექსანდრეს ასული — საკონცერტო მოღვაწეობისათვის 1980-1982 წლებში. წარმოადგინა საქართველოს სსრ კულტურის სამინისტრომ.

სახვითი ხელოვნების დარგში

ჭუთათელაძე გურამ აპოლონის ძე (სიკვდილის შემდეგ) — 1981 წლის პერსონალურ გამოფენაზე წარმოდგენილი ბოლო წლებში შექმნილი ფერწერული ნამუშევრებისათვის: „გვიანი შემოდგომა“, „ძველი საბურთალო“, „ხედი სახელოსნოდან“, სერია „ქართული ნატურმორტები“. წარმოადგინა საქართველოს მხატვართა კავშირმა.

კინოხელოვნებისა და ტელევიზიის დარგში

თაყაიშვილი სესილია დიმიტრის ასული — ბოლო წლებში შექმნილი მხატვრული სახეებისათვის. წარმოადგინა საქართველოს სსრ კინემატოგრაფიის სახელმწიფო კომიტეტმა.

გამოხმაურებანი კანდიდატურების შესახებ გთხოვთ გამოგზავნოთ მისამართით: 380018, თბილისი, რუსთაველის 8, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ლიტერატურის, ხელოვნებისა და არქიტექტურის დარგის რუსთაველის სახელობის სახელმწიფო პრემიების კომიტეტი. ტელ: 93-76-04, 99-64-82.

12 იანვარი

ეროვნული ფოტოფაქტი

ფაქტები მოვლენები საკლესიო იუწყება

ფოტოფაქტი

პრემიერის „სიმბოლური“ გასროლა

დიდი ბრიტანეთის პრემიერ-მინისტრმა მ. ტეტჩერმა თავი ვერ შეიკავა ახალი პროვოკაციისაგან არგენტინის მიმართ. როცა ვიზიტად იმყოფებოდა ფოლკლენდის (მალვინის) კუნძულებზე, იგი ეწვია ინგლისის სამხედრო ბაზას დაბა ფიცროიში, სადაც გაისროლა ზარბაზანი იმის ნიშნად, რომ ლონდონს მტკიცედ აქვს გადაწყვეტილი შეინარჩუნოს ფოლკლენდის კუნძულები. ამერიკის ასოშიეიტედ პრესის საინფორმაციო სააგენტოს მიერ გადმოცემული ფოტოსურათი გადაღებულია ამ „სიმბოლური“ გასროლამდე სულ რამდენიმე წუთით ადრე. ბრიტანეთის მთავრობის მეთაური უმიზნეს.... თუმცა, ქალბატონ ტეტჩერისათვის უჩვეულო საქმე როდია უმზიროს განვითარებადსა და სხვა ქვეყნებს საარტილერიო სამიზნის ჯვარედინიდან. საკმარისია გავიხსენოთ, რომ მან სავსებით დაუშვირა მხარი ირანის წინააღმდეგ ამერიკის შანტაჟისა და მუქარის კამპანიას, გაერთიანებული ერების ორგანიზაციის რეზოლუციების მიუხედავად მოაწყო სისხლიანი ხოცვა-ულეტა ფოლკლენდის კუნძულებზე, ახლა კი მზად არის ჩაძროს დანიის თევზსაჭერი გემები, რომლებიც რეწვას აწარმოებენ ინგლისის ნაპირების მახლობლად.

როცა ზარბაზანს ისროდა, დიდი ბრიტანეთის პრემიერ-მინისტრს, რა თქმა უნდა, არ უფიქრია, რომ ძალისმიერ პოლიტიკას ხშირად მეორე მხარეც აქვს. ჩაფიქრება კი ლირდა. სწორედ ფიცროის მახლობლად კონფლიქტის დროს ყველაზე მეტი ინგლისელი ჯარისკაცი დაიღუპა. (საკლესი).

ესეც შმნი ამერიკული დემოკრატია

სკანდალი თაღლითობის გამო

ნიუ-იორკი. დიახ, ხელისუფლების ადგილობრივი ორგანოების გასული წლის ნოემბრის არჩევნებში თაღლითობის ჩრავალი ფაქტი მოხდა... არა, მათი შედეგები გადასინჯვას არ ექვემდებარება. ასეთი საოცარი გადაწყვეტილება მიიღო ილინოისის შტატის უმაღლესმა სასამართლომ. მან უარყო დემოკრატ ედლაი სტივენსონის სარჩელი, რომელმაც გააპროტესტა ამ შტატში გუბერნატორის არჩევის ფალსიფიცირებული შედეგები.

ილინოისის გუბერნატორის პოსტისათვის „რბოლაში“ გამარჯვებულად გამოცხადდა სტივენსონის მეტოქე — რესპუბლიკელი ჯიმს ტომპსონი. მაგრამ იქვე გამოირკვა, რომ არჩევნები აღინიშნა ამერიკის შეერთებული შტატებისთვისაც კი უპრეცედენტო მასშტაბის პოლიტიკური მაქინაციებით. მაგალითად, დადგინდა, რომ საარჩევნო კომისიების წევრები წინასწარ ამზადებდნენ იმ პირების სიებს, რომლებიც არ იყვნენ რეგისტრირებული ელექტორებისათვის, შემდეგ კი მათ მაგიერ უშვებდნენ ყუთებში ბიულეტენებს. კერძოდ, ჩიკაგოს ხანდაზმულთა სახლის ბინადარნი მოხსენიებული იყვნენ იმათ შორის, ვინც ხმა ნი იძულებული იყვნენ დაენიშნათ სპეციალური პროკურორი რესპუბლიკელთა კანონსაწინააღმდეგო მოქმედების გამოსაძიებლად. გამოძიებამ ცხადყო, რომ „შესაძლებელია“ ბიულეტენების გაყალბება და „მკვდარი სულების“ მიერ ხმის მიცემის შემთხვევები. ამასთან დაკავშირებით სტივენსონმა მოითხოვა ხმების ხელახალი დათვლა.

„თავისუფალ“ და „დემოკრატიულ“ არჩევნებში მაქინაციებთან დაკავშირებით ატეხილ დავადარებას ხელი მოკიდა ფედერალურმა სასამართლომ. მის მიერ საქმის გარჩევის შედეგებმა მთლიანად დაადასტურეს სიყალბისა და თაღლითობის ფაქტები. სასამართლომ აღნიშნა, რომ ჩიკაგოში „არასწორად იყო გაფორმებული“ 2640 საარჩევნო ბიულეტენი.

მაგრამ სასამართლო ინსტანცია დასჯერდა ამას, უარი თქვა მოეწყო გამოძიება მთელი შტატის მასშტაბით. ხელმძღვანელობს რა მისწრაფებით „არ გაახმაუროს შინაურული ამბები“ სასამართლომ საღი აზრის საწინააღმდეგოდ დაადგინა, რომ არ არის საკმაო საფუძველები ხმების ხელახალი დათვლისათვის.

ქუჩრნალისტებს „დამსჯელი სანქციებით“ ემუქრებიან

ვაშინგტონი. პრეზიდენტმა რ. რეიგანმა გამოსცა სპეციალური განკარგულება, რომლის თანახმადაც მთელი რიგი მთავარი უწყებების თანამშრომლებს ამიერიდან ეკრძალებათ პრეზიდენტის მიერ უფლებამოსილ პირებთან წინასწარი შეთანხმების გარეშე შეხვდნენ პრესის წარმომადგენლებს.

პრესასთან ურთიერთობის დარგში პრეზიდენტის თანაშემწე დ. გერგენი აშკარად დაემუქრა „დამსჯელი სანქციებით“ იმათ, ვინც დაარღვევს ადმინისტრაციის მეთაურის ამ განკარგულებას.

ფორმალურად ეს ღონისძიება მიზნად ისახავს, „არ დაუშვას ადმინისტრაციისათვის მეტად არასასურველი კონფიდენციალური ინფორმაციის „გახმაურება“. მაგრამ საქმე სულაც არ ეხება საიდუმლო ცნობებს. კარგად არის ცნობილი, რომ თეთრი სახლი რეგულარულად რთავდა ნებას გაეძღვანენებინათ ინფორმაცია მისი მოქმედების, კერძოდ მასირებული სამხედრო მზადების პროგრამების გასამართლებლად.

ამჯერად თეთრი სახლის მეთაური სულ სხვა რამის გამოა შეშფოთებული. პრესაში იბეჭდება ინფორმაციები იმის შესახებ, რომ მისცა, თუმცა მათ აზრადაც არ მოსვლიათ მონაწილეობა მიეღოთ არჩევნებში. სკანდალი თაღლითობის გამო ღვივდებოდა, თუმცა ხელისუფალნი ცდილობდნენ როგორმე მიეფუჩჩებინათ იგი, ისინი

ამერიკელ ჟურნალისტებს

ეროვნული ინფორმაციის ტერიტორიაზე

ტელეტაიპი

ეროვნული ინფორმაციის ტერიტორიაზე

ქართული მუსიკის თვალსაჩინო მოღვაწე

80 წელი შესრულდა ქართული მუსიკის მრავალმხრივი მოამაგის, თვალსაჩინო კომპოზიტორის, დირიჟორის, საზოგადო მოღვაწის გრიგოლ კილაძის (1902-1962) დაბადებიდან.

გ. კილაძის სახელთან დაკავშირებულია 20-50-იანი წლების ქართული მუსიკალური კულტურის მრავალი ღირსშესანიშნავი მოვლენა. იგი ამ პერიოდის ერთ-ერთი ყველაზე აქტიური შემოქმედებითი ფიგურაა, რომლის საუკეთესო ქმნილებებმა დღემდე შეინარჩუნა თავისი მხატვრული აქტუალურობა.

დღეს ქართველი მუსიკალური საზოგადოებრიობა მადლიერების გრძნობით იგონებს ქართული საბჭოთა მუსიკალური კულტურის აქტიური მშენებლისა და ერთ-ერთი ფუძემდებლის, ორგზის სსრ კავშირის სახელმწიფო პრემიის ლაურეატის, საქართველოს სსრ ხელოვნების დამსახურებული მოღვაწის, პროფესორ გ. კილაძის სახელს.

გრიგოლ კილაძე ეკუთვნის ქართველი საბჭოთა კომპოზიტორების უფროს თაობას. თავის შემოქმედებითს თანამოძმეებთან — შალვა თაქთაქიშვილთან, იოსა ტუსკიასთან, ვანო გოკიელთან ერთად გ. კილაძე ქართული ინსტრუმენტული მუსიკის წამიმწყებად გვევლინება. მან თავიდანვე მიიპყრო ყურადღება როგორც კომპოზიტორმა-სიმფონისტმა და მისი საორკესტრო ნაწარმოებები ქართული მუსიკის ისტორიაში შევიდა როგორც ამ ჟანრის პირველი საინტერესო ნიმუშები.

გრიგოლ კილაძე დაიბადა 1902 წელს ბათუმში. მუსიკის შესწავლა დაიწყო თბილისის გიმნაზიაში სწავლის დროს. იგი ცნობილ ქართველ კომპოზიტორთან და პედაგოგთან ანდრია ყარაშვილთან სწავლობდა ვიოლინოს დაკვრას, შემდეგ უკრავდა გიმნაზიის მოსწავლეთა ორკესტრში, რომელსაც ზაქარია ფალიაშვილი ხელმძღვანელობდა.

გ. კილაძის როგორც მუსიკოსის ჩამოყალიბება განუყრელად არის დაკავშირებული „ახალგაზრდა ქართველ მუსიკოსთა საზოგადოების“ დაარსებასთან. იგი აქტიურად მონაწილეობდა ჯერ ამ საზოგადოების დაფუძნებაში, შემდეგ კი მის საქმიანობაში, უკრავდა საზოგადოებასთან არსებულ სიმფონიურ ორკესტრში, აქვე გადადგა პირველი ნაბიჯები როგორც კომპოზიტორმა და დირიჟორმა, რამაც განსაზღვრა კიდეც მისი მომავალი. 1924 წლიდან გ. კილაძემ თბილისის სახელმწიფო კონსერვატორიაში დაიწყო სწავლა, ცნობილი რუსი კომპოზიტორის მ. იპოლიტოვ-ივანოვის კლასში.

ფართო მუსიკალური საზოგადოებრიობის ყურადღება გ. კილაძემ როგორც კომპოზიტორმა ჯერ კიდევ 1925 წელს მიიპყრო, როდესაც შექმნა თავისი „ქართული სიუიტა“ ორკესტრისათვის. ეს ნაწარმოები ქართული მუსიკის ისტორიაში შევიდა როგორც ინსტრუმენტული ჟანრის პირველი თვალსაჩინო ნიმუში. სიუიტის მხატვრულ ღირსებებს განსაზღვრავს მშვენივრად შერჩეული ხალხური მელოდიური მასალა, ფერადოვანი ორკესტრობა, მუსიკის ნათელი სახოვნება.

„ქართულმა სიუიტამ““ სწრაფად მოიპოვა პოპულარობა და დღემდე შეინარჩუნა თავისი მხატვრული მიმზიდველობა.

შემოქმედებითს მუშაობას გ. კილაძე უთავსებდა ნაყოფიერ პედაგოგიურ და საზოგადოებრივ მოღვაწეობას. 1931 წლიდან იგი მუშაობას იწყებს თბილისის სახელმწიფო კონსერვატორიაში, სადაც სპეციალური ინსტრუმენტირების კლასს განაგებს. 1941 წელს მას პროფესორის წოდება მიენიჭა. საქართველოს კომპოზიტორების პირველ ყრილობაზე 1937 წელს გ. კილაძე აირჩიეს კომპოზიტორთა კავშირის თავმჯდომარედ. წლების მანძილზე იგი პარალელურად მუშაობდა რუსთაველის სახელობის თეატრში როგორც კომპოზიტორი და სამუსიკო ნაწილის გამგე.

გ. კილაძის შემოქმედებითი მოღვაწეობის ამ პერიოდის და მთელი ომამდელი ქართული მუსიკალური კულტურის დიდი მიღწევა იყო სიმფონიური პოემა „განდეგილი“ (1937 წ.), რომლის შექმნისათვის ავტორს — პირველს ქართველ კომპოზიტორთა შორის — სახელმწიფო პრემია მიენიჭა. ეს იყო დიდი ფორმის პირველი პროგრამული სიმფონიური ნაწარმოები ქართულ მუსიკაში. ილიას პოემის ღრმა ფილოსოფიური შინაარსი კომპოზიტორმა მხატვრულად განზოგადებული ფორმებით გახსნა.

სამამულო ომის შემდეგ და მის მომდევნო წლებში გ. კილაძე აქვლავ ინტენსიურ შემოქმედებითსა და საზოგადოებრივ მუშაობას ეწევა. 1938-1941 წლებში თბილისის სახელმწიფო კონსერვატორიის დირექტორია. 1941 წელს კი მას ნიშნავენ თბილისის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო თეატრის დირექტორად. 1945-1953 წლებში იგი კვლავ თბილისის სახელმწიფო კონსერვატორიის ხელმძღვანელობს. 40-იან წლებში კომპოზიტორმა შექმნა რამდენიმე მონუმენტური ფორმის ნაწარმოები, მაგალითად, ოპერა „ლადო კეცხოველი“, რომელიც 1941 წლის თებერვალში დაიდგა.

სამამულო ომის მრისხანე ამბებს კომპოზიტორი გამოეხმაურა თავისი პირველი „გმირული“ სიმფონიით.

განსაკუთრებული წარმატება ხვდა გ. კილაძის ბალეტ „სინათლეს“, რომელიც ვახტანგ ჭაბუკიანმა დადგა. ბალეტში შეთავსებულია ფანტასტიკური და რეალურ-ყოფითი სახეები, ლირიკული და გმირულ-ვაჟკაცური მოტივები. მუსიკის მიმზიდველმა მხარეებმა — მისმა კოლორატურულობამ, სახოვნებამ ხელი შეუწყო ბალეტის გამარჯვებას. 1948 წელს გ. კილაძეს ბალეტის დამდგმელ ჯგუფთან ერთად სახელმწიფო პრემია მიენიჭა. ბალეტის მუსიკამ დღემდე შეინარჩუნა თავისი მხატვრული მიმზიდველობა.

დიდი მუსიკალური ფორმის სხვა ნაწარმოებებიდან აღსანიშნავია ორატორია და მეორე სიმფონია, კომპოზიტორს ეკუთვნის აგრეთვე რამდენიმე ქართული კინოფილმის მუსიკა („უკანასკნელი მასკარადი“, „არსენა“ და „მფრინავი მღებავი“).

საბჭოთა ხელოვნების განვითარების საქმეში დიდი დამსახურებისათვის გ. კილაძეს მიენიჭა საქართველოს სსრ ხელოვნების დამსახურებული მოღვაწის წოდება. იგი დაჯილდოებული იყო ორდენებითა და მედლებით. წლების მანძილზე გ. კილაძე სახელმწიფო კონსერვატორიისთან არსებულ საოპერო სტუდიას ხელმძღვანელობდა. 1953 წლიდან მისი თაოსნობით და დირიჟორობით, სტუდიის სცენაზე დაიდგა მთელი რიგი საოპერო სპექტაკლები, მათ შორის ზაქარია ფალიაშვილის „აბესალომ და ეთერი“, როსინის „სევილიელი დალაქი“, ვერდის „ტრავიატა“ და სხვ. აქ განსაკუთრებით მკაფიოდ გამოვლინდა მისი სადირიჟორო ნიჭი და ოსტატობა. შეიძლება ითქვას, რომ ეს იყო ჩვენი საოპერო სტუდიის მუშაობის ერთ-ერთი საუკეთესო პერიოდი.

ფართო ასპარეზი ჰქონდა გ. კილაძის როგორც სიმფონიური დირიჟორის, მოღვაწეობასაც. ერთხანს იგი საქართველოს სახელმწიფო სიმფონიური ორკესტრის მთავარი დირიჟორი იყო.

მრავალმხრივი ქართველი მუსიკოსის — კომპოზიტორის, დირიჟორისა და საზოგადო მოღვაწის გ. კილაძის სახელი სამდიდრო დარჩება ქართული მუსიკის მატიანეში.

გულბაათ ტორაძე.

საფეხბურთო კალეიდოსკოპი

ფიფას სამდივნოს ცნობა

როგორც ფიფას (ფეხბურთის საერთაშორისო ფედერაცია) სამდივნო იუწყება, ამ ორგანიზაციის აღმასკომის სხდომაზე ციურიხში ოფიციალურად გამოცხადდა 1990 წლის მსოფლიო ჩემპიონატის მოწყობის პრეტენდენტი ქვეყნების სახელები. ესენი არიან იუგოსლავია, იტალია, საფრანგეთი, ინგლისი, ჰოლანდია, საბჭოთა კავშირი და ავსტრია. ამ ქვეყნებიდან ერთობლივად ავსტრია და უნგრეთი. აქვე ისიც გამოცხადდა, რომ 1994 წლის მსოფლიო ჩემპიონატის მოწყობა ჯერჯერობით სურთ ბრაზილიას, პერუსა და სამხრეთ კორეას.

ბრაზილიელები ჩამოდიან ევროპაში

როგორც რიო-დე-ჟანეიროში გამოცხადდა, ფეხბურთში სამგზის მსოფლიო ჩემპიონი ბრაზილიის ნაკრები მაისის თვეში ტურნეს გამართავს ევროპაში. ამასთან დაკავშირებით ბრაზილიელებმა მასპინძლობაზე უარი უთხრეს ინგლისელებს, რომელთაც ამავე თვეში განზრახული აქვთ ფასტროლების მოწყობა სამხრეთ ამერიკაში.

10 მილიარდი და 2 მილიონი

ფიფას სამდივნოს ცნობით, 1982 წლის მსოფლიო ჩემპიონატის მატჩებს თვალყურს ადევნებდა დაახლოებით 10 მილიარდი მაყურებელი. ამავე დროს ესპანეთის 14 ქალაქის 17 სტადიონზე მას დაესწრო ორი მილიონი ფეხბურთის გულშემატკივარი.

ბელგრადის „სპორტის“ აზრით

ბელგრადის გაზეთმა „სპორტმა“ სხვადასხვა ექსპერტებს დაუგზავნა ანკეტა, სადაც მათ უნდა დაესახელებინათ ჯონტინენტის უძლიერესი ნაკრები ფეხბურთში და შეედგინათ იდეალური ნაკრები. უძლიერეს ნაკრებთა პირველი ხუთეული ანკეტის შეჯამების შემდეგ ასეთია: 1. იტალია, 2. გერმ, 3. საფრანგეთი, 4. პოლონეთი, 5. ინგლისი. აი ევროპის იდეალური ნაკრებიც: დასაეი (საბჭოთა კავშირი), შირეა (იტალია), ბეერუტსი (ბელგია), კოლოვატი, კაბრინი (ორივე — იტალია), ბონეკი (პოლონეთი), ეირესი, პლატინი (ორივე — საფრანგეთი), კონტი, როსი (ორივე — იტალია), რუმენიგე (გერ).

ცხენებს... ლოკინები?

საცხენოსნო სპორტის საერთაშორისო ფედერაციამ სამ მხედარს აუკრძალა შეჯიბრებებში მონაწილეობა, ერთი მხედარი კი დაჯარიმა. ამ სანქციებს ფედერაციამ ამის გამო შემართა, რომ მხედრები თავიანთ ცხენებს აძლევდნენ მასტიმულირებელ საშუალებებს. ეს მხედრები არიან ტრეეორ კოილი (ირლანდია), ფრანსუა სერელი (არგენტინა), ეიულ სიუელმანი (ბელგია) და ტომას ფრუხმანი (ავსტრია). კოილს და სერელს 6 თვის განმავლობაში არ დაუშვებენ შეჯიბრებებში, სიულემანს — 8 თვის მანძილზე, ფრუხმანმა კი ჯარიმა უნდა გადაიხადოს.

სატურნირო ორბიტა

ყუალაზურთი. გუშინ მოსკოვსა და თბილისში დაიწყო სსრ კავშირის ჩემპიონატი უმაღლესი ლიგის გუნდებს შორის. გთავაზობთ თბილისში გამართული შეხვედრების შედეგებს: კიევის „დინამო“-თბილისის „დინამო“ — 8:6, შავი ზღვის წითელდროშოვანი ფლოტის გუნდი-კასპიის წითელდროშოვანი ფლოტილიის გუნდი — 6:9, ლვოვის „დინამო“-ალმა-ათის „დინამო“ — 7:12.

კალათბურთი. მინსკში გაიმართა უმაღლესი ლიგის ვიუთა გუნდების სკაკავშირო ჩემპიონატის მორიგი კალეიდოსკოპი. ადგილობრივმა რტომ მიიღო კაუნასის „ყალგირისი“. გაიმარჯვეს კაუნასელებმა ანგარიშით 100:98.

ფეხბურთი. სოხუმში დამთავრდა სპორტის დამსახურებული ოსტატის ვ. მარღანიას ხსოვნისადმი მიძღვნილი ჭაბუკთა გუნდების საკავშირო შეჯიბრება, რომელშიც პირველი ადგილი დაიკავა აფხაზეთის ნაკრებმა. მეორე ადგილზე გამოვიდნენ მოსკოველები, მესამეზე — საქართველოს ჭაბუკთა ნაკრები.

რედაქტორი
გ. ბედინეიშვილი.

ი. თარხნიშვილის სახელობის პრემიის მოსაპოვებლად

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემია აცხადებს კონკურსს ივანე თარხნიშვილის სახელობის პრემიის მოსაპოვებლად.

ეს პრემია 2.500 მანეთის ოდენობით მიენიჭება სამ წელიწადში ერთხელ თვალსაჩინო მეცნიერული ნაშრომისათვის ბიოლოგიის და მედიცინის მეცნიერებათა დარგში.

პრემიის მოსაპოვებლად, ჩვეულებრივ, შეიძლება წარმოდგენილ იქნეს ცალკეულ ავტორთა შრომები. კოლექტიური ნაშრომებისათვის პრემია მიეცემათ ხელმძღვანელებს და ძირითად ავტორებს.

პრემიის მოსაპოვებლად წარმოდგენილი ნაშრომი შესრულებული უნდა იყოს საქართველოს სსრ სამეცნიერო-კვლევითის, სამეცნიერო-პედაგოგიურ და სხვა დაწესებულებებში ან ცალკეულ პირთა მიერ. საქართველოს სსრ სამეცნიერო დაწესებულებებს შეუძლიათ პრემიის მოსაპოვებლად გამონაკლისის სახით წარმოადგინონ რესპუბლიკის უარეს შესრულებული ნაშრომი.

პრემიის მოსაპოვებლად შეგიძლიათ წარმოადგინოთ წინა სამი წლის შრომები, მაგრამ ისინი გამოცემული უნდა იყოს ამ განცხადების გამოქვეყნებამდე (სულ ცოტა ექვსი თვით ადრე).

პრემიის მოსაპოვებლად არ შეიძლება წარმოადგინოთ ნაშრომი, რომელსაც მინიჭებული აქვს ლენინური პრემია, სახელმწიფო პრემია, აგრეთვე სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის, სხვა მოკავშირე რესპუბლიკების მეცნიერებათა აკადემიების და დარგობრივი აკადემიების პრემიები.

პრემიის მოსაპოვებლად ნაშრომის წარმოდგენა შეუძლიათ სამეცნიერო-კვლევითს დაწესებულებებს, სამეცნიერო საზოგადოებებს, უწყებებს, საზოგადოებრივ ორგანიზაციებს ან სათანადო დარგის წამყვან მეცნიერებსა და სპეციალისტებს.

საკონკურსოდ უნდა წარმოადგინოთ:

გამოქვეყნებული სამეცნიერო ნაშრომი სამ ცალად;

დასაბეჭდებული წარდგინება, რომელიც შეიცავს ნაშრომის მეცნიერულ დასასაბუთებას და განმარტავს, თუ რა მნიშვნელობა აქვს მას მეცნიერების განვითარებისათვის;

მონაცემები ავტორის შესახებ (ძირითადი სამეცნიერო ნაშრომების ნუსხა, შუამაბის ადგილი და თანამდებობა, ბინის მისამართი);

ცნობა იმის შესახებ, რომ წარმოდგენილი ნაშრომს წინათ არ ჰქონია მინიჭებული სხვა პრემიები.

მასალები პრემიის მოსაპოვებლად განცხადების გამოქვეყნების დღიდან ერთი თვის განმავლობაში უნდა გამოიგზავნოს მისამართით: 380008, რუსთაველის 52, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემია, წარწერით: „ი. თარხნიშვილის სახელობის პრემიის მოსაპოვებლად“.

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემია.

ქ. თბილისის № 133 ტექნიკური სასწავლებლის ფილიალი

აცხადებს მოსწავლეთა მიღებას 1983-84 სასწავლო წლისათვის შემდეგ სპეციალობებზე:

პროგრამული მართვის ჩარხის ოპერატორი; ელექტრომოწყობილობის შემკეთებელი ელექტრომონტიორი; ელექტრომემონტაჟე.

სასწავლებელში მიიღებიან მხოლოდ საშუალო განათლების მქონე ქალები და ვაჟები.

სასწავლებელში ჩარიცხულნი მიიღებენ სტიპენდიას 30 მანეთის ოდენობით, აგრეთვე საწარმოო პრაქტიკის გაელის დროს გამომუშავებული თანხის 33 პროცენტს.

სასწავლებლის წარჩინებული კურსდამთავრებულები უმაღლეს სასწავლებელში შესვლის დროს სარგებლობენ ზოგადსაგანმანათლებლო საშუალო სკოლის ოქროს მედალოსანთა უფლებებით, გარდა ამისა, სასწავლებლის კურსდამთავრებულებს, რომლებსაც ექნებათ „ფრიადი“ და „კარგი“ შეფასება ყველა საგანში და წარმატებით ჩაბარებენ საკვალიფიკაციო გამოცდას, პედაგოგიური საბჭოს გადაწყვეტილებით მიეცემათ უფლება შევიდნენ უმაღლესი სასწავლებლის დღის განყოფილებაზე.

ტექნიკურ სასწავლებელში სწავლის დრო ითვლება უწყვეტ საშუშაო სტაჟად.

ზემოთ აღნიშნულ სპეციალობებზე სწავლების ვადა ერთი წელია. სწავლის პერიოდში მოსწავლეებს ეძლევათ საბჭოთა არმიის რიგებში გაწვევის გადავადება.

სასწავლებლის კურსდამთავრებულები სამუშაოდ განაწილდებიან ქ. თბილისის ქარხანა „ელექტროშედუღებაში“ და 3-4 წელიწადში დაკმაყოფილდებიან ბინით.

სასწავლებელში ჩარიცხვა მოხდება საკონკურსო შერჩევით, გასაუბრების გზით.

ჩარიცხვისას უპირატესობა მიეცემათ ადგილობრივ ახალგაზრდებს, საბჭოთა არმიის რიგებიდან დემობილიზებულებს. სწავლა იწარმოებს ქართულ და რუსულ ენებზე.

მსურველებმა უნდა წარმოადგინონ შემდეგი საბუთები: განცხადება დირექტორის სახელზე, საშუალო განათლების ატესტატი (დედანი), დაბადების მოწმობა (დედანი), დახასიათება სკოლიდან ან უკანასკნელი სამუშაო ადგილიდან, ცნობა საცხოვრებელი ადგილიდან, ავტობიოგრაფია, 3X4 ზომის ექვსი ცალი ფოტოსურათი, ფორმა № 286, სამედიცინო ცნობა, პასპორტს, მიწერის მოწმობას ან სამხედრო ბილეთს წარმოადგენენ პირადად.

სწავლა დაიწყება 1983 წლის 1 თებერვალს.

სასწავლებლის მისამართი: ქ. თბილისი, კიროვის რაიონი, რუსთაველის გზატკეცილი № 50, მეცნიერებათა აკადემიის ელექტრომოწყობილობათა საკავშირო საკონსტრუქტორო სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი.

ტელეფონი: 72-21-46.

ტრანსპორტი: ავტობუსები 23, 11. სამარშრუტო ტაქსი № 48 (კოლმეურნეობის მოედნიდან).

ქ. თბილისის № 27 ტექნიკური სასწავლებელი

აცხადებს მოსწავლეთა მიღებას 1983 წლის პირველ კვარტალში შემდეგ სპეციალობებზე:

1. ფეხსაცმლის ზედაპირის მკერავი;
2. ფეხსაცმლის მკერავი;
3. ფეხსაცმლის ინდივიდუალური მკერავი.

სასწავლებელში მიიღებიან საშუალო განათლების ახალგაზრდები; სწავლების ვადა ათი თვეა, საბჭოთა არმიის რიგებიდან დემობილიზებულთათვის სწავლების ვადა შემცირებულია.

მოსწავლე გოგონები ძირითად სპეციალობასთან ერთად შეისწავლიან ქალის მსუბუქი კაბის კერვასა და მდივან-მენინქანეობას.

ახალგაზრდები სწავლის პერიოდში მიიღებენ სტიპენდიას — 70-77 მანეთს, გარდა ამისა, სასწარმოო სწავლებისა და პრაქტიკის პერიოდში გამომუშავებული თანხის 50 პროცენტს.

სწავლის პერიოდი ითვლება უწყვეტ სამუშაო სტაჟად.

რაიონიდან ჩამოსული ახალგაზრდები უზრუნველყოფილი იქნებიან თბილისში ჩაწერით.

სწავლების პერიოდში წვეულებლებს ეძლევათ გადავადება.

სასწავლებლის კურსდამთავრებულები სამუშაოდ განაწილდებიან ქ. თბილისის ქარხანა „ელექტროშედუღებაში“ და 3-4 წელიწადში დაკმაყოფილდებიან ბინით.

სასწავლებელში ჩარიცხვა მოხდება საკონკურსო შერჩევით, გასაუბრების გზით.

ჩარიცხვისას უპირატესობა მიეცემათ ადგილობრივ ახალგაზრდებს, საბჭოთა არმიის რიგებიდან დემობილიზებულებს. სწავლა იწარმოებს ქართულ და რუსულ ენებზე.

მსურველებმა უნდა წარმოადგინონ შემდეგი საბუთები: განცხადება დირექტორის სახელზე, საშუალო განათლების ატესტატი (დედანი), დაბადების მოწმობა (დედანი), დახასიათება სკოლიდან ან უკანასკნელი სამუშაო ადგილიდან, ცნობა საცხოვრებელი ადგილიდან, ავტობიოგრაფია, 3X4 ზომის ექვსი ცალი ფოტოსურათი, ფორმა № 286, სამედიცინო ცნობა, პასპორტს, მიწერის მოწმობას ან სამხედრო ბილეთს წარმოადგენენ პირადად.

სწავლა დაიწყება 15 თებერვალს.

განცხადებას დირექტორის სახელზე, თან უნდა დაერთოს: საშუალო განათლების ატესტატი (დედანი), დაბადების მოწმობა (დედანი), სამედიცინო ცნობა — ფორმა № 286; ავტობიოგრაფია და დახასიათება.

სასწავლებელში შემსვლელებმა უნდა წარმოადგინონ პირადად: დაბადების მოწმობა (დედანი), პასპორტი, სამხედრო ბილეთი ან მიწერის მოწმობა და კომკავშირის საღირიცხვო ბარათი.

საბუთები მიიღება ყოველდღე 9 საათიდან 17 საათამდე, გარდა კვირისა.

სასწავლებლის მისამართი: ქ. თბილისი, ბ. ხმელნიცკის ქ. № 42 ტრანსპორტი: მეტროს ხადგური „ისნიდან“ — ტრამვაი № 7, ავტობუსი № 51, № 90, ლენინის მოედნიდან, — სამარშრუტო ტაქსი № 10, ავტობუსი № 16. ტელეფონი: 74-34-67.

მორიგი სახალხო...

წითელწყაროს. (საკ. კორ.). ამას წინათ რაიონის მშრომელები კიდევ ერთი სასიხარულო ფაქტის მოწმენი გახდნენ — საფუძველი ჩაეყარა კულტურის სახლსა უნივერსიტეტს.

პირველ დამფუძნებელ მეცადინეობაზე, რომელიც კულტურის სახლში გაიმართა, შესავალი სიტყვა წარმოთქვა საქართველოს კომპარტიის წითელწყაროს რაიკომის პირველმა მდივანმა ტ. ყარაულაშვილმა.

მსმენელებს მეცადინეობის დაწყება მიულოცა და სამუშაო პროგრამა გააცნო სახალხო უნივერსიტეტის რექტორმა, სსრ კავშირის სახალხო არტისტმა, პროფესორმა დ. ალექსიძემ.

სასწავლო პროგრამის მიხედვით, პირველ თვიმზე — „ქართული საბჭოთა თეატრი“ მსმენელებს ესაუბრა ჟურნალ „საბჭოთა ხელოვნების“ მთავარი რედაქტორი, ხელოვნების დამსახურებული მოღვაწე ნ. გურაბანიძე.

მხატვრულ განყოფილებაში, რომელიც მეცადინეობის დასასრულს გაიმართა, მონაწილეობდნენ მსახიობები ნ. მკერვალიძე, ე. ასლამაზიშვილი, ნ. აბესაძე, ნ. გაბუნია, ც. დადიანი, ჯ. მაზიაშვილი.



ახალშენებულთა პანორამა

კურორტ ქობულეთში მწყობრში ჩადგა ახალი მრავალსართულიანი სასტუმრო. იგი გათვალისწინებულია 600 კაცისათვის.

სურათებზე: ახალი სასტუმრო „ინტურისტი“ ქობულეთში; სასტუმროს ინტერიერი.

დ. ანასტასიევის ფოტო. (საქინფორმის ფოტოქრონიკა).

თოვლი და კამელიები

საქართველოს შავი ზღვის სანაპირზე ამ დღეებში მოსულმა თოვლმა კვერ შეაჩერა მარად მწვანე სუბტროპიკული მცენარეების, ზღმარტლის, მიმოზის, კამელიის ყვავილობა. მაგრამ საოცრად ლამაზია კამელია, რომელიც ხოტბაშესხმულია პოეზიასა და პროზაში. სილამაზით იგი ვარდს ან ორქიდეას თუ შეედრება.

ბათუმის ბოტანიკურ ბაღს „კამელიების სამეფოს“ უწოდებენ. აქ თაქმოყრილია ამ ეგზოტიკური მცენარის ევროპაში ერთადერთი კოლექცია — ასზე მეტი ჯიში. ისინი ქმნიან განუმეორებელ ფერთა გამას. ბაღში არის კამელიების სამრეწველო პლანტაციაც, სადაც მისი ფოთლებიდან იღებენ პრეპარატებს ქვეყნის ფარმაცევტიკი და საპარფიუმერიო მრეწველობისათვის.

კამელიის სამშობლოა ფილიპინები. ეს ყვავილი პირველმა აღმოაჩინა და აღწერა მეფფთიაქემ და ბოტანიკოსმა გეორგ ეოზეფ კამელმა, რომლის პატივსაცემადაც დაერქვა ეს სახელი.

(საქინფორმი).

ბელგიელ ხელოვანთა ბრიგადა

ხელოვანიანი აღმოჩნდა გასული წელი რეპუბლიკის არქეოლოგთათვის. საქართველოს ისტორიული წარსულის ამსახველი ახალი მასალები აღმოაჩინა მუშაობის პროცესში არაერთმა ექსპედიციამ. ზოგიერთი ექსპედიციის ხელმძღვანელი გვატყობინებს:

კონსტანტინე ფიცხელაური, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის არქეოლოგიური კვლევის ცენტრის უფროსი მეცნიერი თანამშრომელი, კახეთის არქეოლოგიური ექსპედიციის უფროსი:

— კარგი შედეგებით დამთავრდა გათხრები საგარეჯოს რაიონის სოფელ მანავის მახლობლად, ზეიანის მიდამოებში. 30 მეტრი დაბერტის ყორღანის ქვაყრილის ქვეშ აღმოვაჩინეთ ქვის ყელადი დერეფნის მაგვარი შესასვლელი (დრომფსი). მასში ვიპოვეთ რვა კაცის ნეშტი, რომლებიც, როგორც ჩანს, მსხვერპლად შეუწირავთ. აღმოვაჩინეთ აგრეთვე თიხის ჯურჭელი, რომელიც ძველი წელთაღრიცხვის IV-III ათასწლეულებს განეკუთვნება.

შესასვლელის ახლოს დამარხული არიან ქალი და მამაკაცი, რომლებიც ჭილოფისმაგვარ საგებზე წვანან. ასეთივე ჭილოფი ახურავთ მათ.

აღმოჩენილი სამარხი ერთ-ერთი უძველესია კავკასიაში. იგი ადასტურებს თვალსაზრისს, რომ ადამიანების მსხვერპლად შეწირვა უძველეს დროში საკულტო ტრადიცია იყო კავკასიის ტერიტორიაზეც. ამასთან იგი მოწმობს ძველი წელთაღრიცხვის IV-III ათასწლეულების მიჯნაზე აქ არსებული საზოგადოების სოციალურ უთანასწორობას.

ირაკლი ჭორიძე, საქართველოს ს. ჯანაშიას სახელობის სახელმწიფო მუზეუმის მეცნიერი-თანამშრომელი, შიდა ქართლის არქეოლოგიური ექსპედიციის უფროსის მოადგილე:

ქარელის რაიონის ბებნისის საბჭოთა მეურნეობის ტერიტორიაზე ბალეტის მსახიობთა კონცერტი.

მეორე პროგრამა. 9.00 — დილის ვარჯიში. 9.15 — სამეცნიერო-პოპულარული ფილმი. 9.30 — ბუნებისმეტყველება. 9.50 — ესპანური ენა. 10.20 — მეცნიერება. 11.05 — მ. თურსუნ-ზადეს პოეზია. 11.40 — ზოოლოგია. მე-7 კლასი. 12.05 — ჩვენი ბაღი. 12.35 — სამეცნიერო-პოპულარული ფილმი. 13.10 — სამეცნიერო-პოპულარული ფილმი. 13.30 — 6. ა. ნეკრასოვი. მე-7 კლასი. 13.55 — საბჭოთა სახელმწიფოსა და სამართლის საფუძვლები. მე-8 კლასი. 14.55 — მხატვრული ფილმი „ვრემია“. 22.35 — დოკუმენტური ტელეფილმი. 23.35 — დღეს მსოფლიოში. 23.50 — ბალეტის მსახიობთა კონცერტი.

მეორე პროგრამა. 9.00 — დილის ვარჯიში. 9.15 — სამეცნიერო-პოპულარული ფილმი. 9.30 — ბუნებისმეტყველება. 9.50 — ესპანური ენა. 10.20 — მეცნიერება. 11.05 — მ. თურსუნ-ზადეს პოეზია. 11.40 — ზოოლოგია. მე-7 კლასი. 12.05 — ჩვენი ბაღი. 12.35 — სამეცნიერო-პოპულარული ფილმი. 13.10 — სამეცნიერო-პოპულარული ფილმი. 13.30 — 6. ა. ნეკრასოვი. მე-7 კლასი. 13.55 — საბჭოთა სახელმწიფოსა და სამართლის საფუძვლები. მე-8 კლასი. 14.55 — მხატვრული ფილმი „ვრემია“. 22.35 — დოკუმენტური ტელეფილმი. 23.35

ძიება, აღმოჩენები

ყორღანების საიდუმლო

გათხრების დროს აღმოვაჩინეთ ორი ბრინჯაოს შტანდარტი — ერთზე ირემია გამოსახული, მეორეზე კი ფრინველი. ეს შტანდარტები, ისევე როგორც აქ ნაპოვნი სხვა ნივთებიც, განეკუთვნება ბრინჯაოს ეპოქას — ძველი წელთაღრიცხვის XV-XIV საუკუნეებს.

შტანდარტები ნაპოვნია სამარხში ურემთან, ორ მიცვალებულთან, ცხენებთან და ლაგმებთან ერთად. სავარაუდოა, რომ ლაგმი ამიერკავკასიის ტერიტორიაზე ნაპოვნი ნივთებიდან ყველაზე ადრეულ პერიოდს განეკუთვნება. მიცვალებულები არიან დაახლოებით 45 წლის მამაკაცი და ოცდაათ-ოცდაათ წლის ქალი, რომელიც დამარხულია მამაკაცის ფეხებთან მჯდომარე. ქალის სამკაულს შეადგენს ვერცხლის დიადემა, ოქროს მძივები და ვერცხლის ქინძისთავი.

გარდა ამისა, ნაპოვნია წინაზაფხული ტიპის ბრინჯაოს ხანჯალი, კაჟისა და ბრინჯაოს ისრის ბუნიკები. აღმოჩენილია აგრეთვე შესანიშნავი ორნამენტებით შემკული ბევრი თიხის ჯურჭელი.

დავით გოგელია, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის არქეოლოგიური ცენტრის მეცნიერი თანამშრომელი, ქვემო ქართლის არქეოლოგიური ექსპედიციის ხელმძღვანელი:

— მარნეულის რაიონის სადახლოს მეთამბაქოეობის საბჭოთა მეურნეობის ტერიტორიაზე სარწყავი სისტემის მშენებლობის დაწყების წინ შევასრულეთ ტრადიციული საზეერი სამუშაოები და აღმოვაჩინეთ ყორღანული სამარხები, რომლებშიც ვნახეთ ბევრი ურემი, ადამიანთა ნეშტები, ყოფითი და საკულტო დანიშნულების ნივთები. ნაპოვნი ლითონის ნაკეთობანი და კერამიკული ჯურჭელი საფუძველს გვაძლევს მიგოდება. ავარიის სალიკვიდაციოდ შეიქმნა სპეციალური ბრიგადა, რომელსაც სათავეში ჩაუდგა ქალაქის „თბილწყალკანალიზაციის“ სამმართველოს უფროსი ა. ბუკია. მეტად ძნელ პირობებში მოუხდათ მუშაობა საავარიო ბრიგადის წევრებს. მათ დროულად აღადგინეს წყალსადენის ხაზი და საღამო ხანს ქალაქის მოსახლეობამ უკვე მიიღო სასმელი წყალი.

მიუხედავად იმისა, რომ რამდენიმე დღე გამუდმებით თოვდა, სურსათითა და ელექტროენერგიით ქალაქის მოსახლეობის მომარაგება არ შეფერხებულა.

თბილისის ამინდის ბიუროს ცნობით, დასავლეთ საქართველოს დაბლობ რაიონებში წვიმს, მთებში თოვს, აქარაში კვლავ თოვლი და ყინვებია მოსალოდნელი. თოვლის საფარი მომატებს ტყიბულში, ცაგერში, ამბროლაურში, ონში.

აღმოსავლეთ საქართველოს დასავლეთ რაიონებშიც ღამით თოვლია მოსალოდნელი.

სტიქიას სძლიეს

საავტომობილო ტრასები. ნაქერალის ქედის სამხრეთ კალთაზე ღამით ჩამოწვა მეწყერი, რომელმაც დაზიანა ტყიბულ-ამბროლაურის საავტომობილო გზა. სტიქიამ მწყობრიდან გამოიყვანა წყალსადენი. მთელი დღის განმავლობაში ქალაქში შეწყდა მოსახლეობისათვის სასმელი წყლის მიწოდება. ავარიის სალიკვიდაციოდ შეიქმნა სპეციალური ბრიგადა, რომელსაც სათავეში ჩაუდგა ქალაქის „თბილწყალკანალიზაციის“ სამმართველოს უფროსი ა. ბუკია. მეტად ძნელ პირობებში მოუხდათ მუშაობა საავარიო ბრიგადის წევრებს. მათ დროულად აღადგინეს წყალსადენის ხაზი და საღამო ხანს ქალაქის მოსახლეობამ უკვე მიიღო სასმელი წყალი.

მიუხედავად იმისა, რომ რამდენიმე დღე გამუდმებით თოვდა, სურსათითა და ელექტროენერგიით ქალაქის მოსახლეობის მომარაგება არ შეფერხებულა.

თბილისის ამინდის ბიუროს ცნობით, დასავლეთ საქართველოს დაბლობ რაიონებში წვიმს, მთებში თოვს, აქარაში კვლავ თოვლი და ყინვებია მოსალოდნელი. თოვლის საფარი მომატებს ტყიბულში, ცაგერში, ამბროლაურში, ონში.

აღმოსავლეთ საქართველოს დასავლეთ რაიონებშიც ღამით თოვლია მოსალოდნელი.

**